



# ქართული ფოლკლორი

„ერის გონი, ანბანის თითოეული ასო, ქართულ ნიშნაშია მოხვეული. ჰმეყანა თავის ისტორიას ნიშნით გვიყვება“.

№2 აპრილი 2024 წელი

პერიოდული გამოცემა

2001 წელს იუნესკომ ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო ხალხების მუსიკალური მემკვიდრეობის მემკვიდრეობად აღიარა.

## საქართველოს წარმატებულ ხელოვნებად ქალთა დაჯილდოების წარმონიღი „ხელოვნები 2024“



ქართული სულისა და კულტურის ნამდვილი ზეიმი, ფოიერვერკი, ემოცია და ზღვა სიყვარული, სიკეთისა და მადლიერების დღესასწაული - ასე შეფასდა 2024 წლის 8 მარტს, „თბილისის არტ-პოლი“ ჩატარებული დაჯილდოების ცერემონიალი „ხელოვნები 2024“.



ამ დღეს, კიდევ ერთი, გამორჩეულად ლამაზი და საზეიმო დღე აღნიშნა საზოგადოებამ და ქართველმა ხელოვნებმა - ქართულ რეალობაში დამკვიდრებულ დაჯილდოების ცერემონიალებსა და სხვადასხვა გამორჩეულ საზეიმო ღონისძიებებს, წარმატებულ ხელოვნებად ქალთა დაჯილდოების ცერემონიალი „ხელოვნები“ შეემატა, რომელიც, საქართველოში პირვე-

ლად, სათანადოდ დაეფასებინათ ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში მოღვაწე შესანიშნავი ქალბატონების მიერ ერისა და ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლი.

სალამოს 7 საათზე, უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი „თბილისის არტ-პოლის“ გარე სივრცესა და ფოიეში. ულამაზესი 15 ქალბატონი ამშვენებდა ცერემონიალის საზეიმო გახსნას, რომლებსაც წითელ ხალიჩაზე მოაცილებდნენ საპატიო სტუმარი მამაკაცები - ქართული საზოგადოების ღირსეული და სახელოვანი წარმომადგენლები:

**რეზო ჭანიშვილი** - საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორ-ემერიტუსი;

**გივი სიხარულიძე** - საქართველოს დამსახურებული არტისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე;

**ერეკლე სალიანი** - სახალხო პოეტი და საზოგადო მოღვაწე;

**გელა წერეთელი** - ცნობილი ქორეოგრაფი, ღირსებისა და ამაგდარის ორდენების კავალერი;

**სოსო დევანიძე** - საქართველოს დამსახურებული არტისტი;

**ანგული ქავთარაძე** - საქართველოს პროფესიონალ ქორეოგრაფთა კავშირის ხელმძღვანელი, ღირსების ორდენის



კავალერი; **რობერტ ქორჩილაძე** - საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ღირსების მედლისა და ორდენის კავალერი;

**უჩა დვალისხელი** - საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქო-

ლადა, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით, „თბილისის არტ-პოლის“ (დირექტორი ნანა გოდერძიშვილი) საკონცერტო სივრცეში გრანდიოზულად აღნიშნა.

ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციამ გადამწყვიტა, რომ სწორედ 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, ჩატარებინათ აღნიშნული დაჯილდოების ცერემონიალი და,

(დასასრული მე-8 გვ.)

## ომარ მხეიძის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატი - ვეზირანი ქორეოგრაფი ბობი მარლანია

2024 წლის 16 მარტს მცხეთის მუნიციპალიტეტის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციურ ცენტრში, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა მორიგი საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი „მომავალი ჩვენია!“

როგორც დაგვანონსეთ, ფესტივალი გაიხსნა სიახლით - წამყვანმა მანანა უშიკიშვილმა სცენაზე იხმო ძველი თაობის ამაგდარი, ცნობილი მოცეკვავე და ქორეოგრაფი, მრავალი საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსის მონაწილე და გამარჯვებული, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ ყოფილი მოცეკვავე, ქალაქ რუსთავის ილიკო სუხიშვილის სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სიხარულის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, ბატონი გოგი მარლანია, რომელიც წელს, 19 აგვისტოს, საიუბილეო 75-ე დაბადების დღეს აღნიშნავს. სცენაზე მის გვერდით იდგნენ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის საპატიო თანათავმჯდომარე,

მოღვაწე, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის საპატიო თანათავმჯდომარე, ბატონი ერეკლე სალიანი, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი ზაზა



მჭავანაძე, ეროვნული ცენტრის ქვემო ქართლის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბატონი ჯუმბერ წონორია, თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი ლერი მინაძე და ფესტივალში მონაწილე ანსამბლების ხელმძღვანელები.

ულერდა საზეიმო მუსიკა. ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის მესვეურებმა ბატონი გოგი მარლანიას მოღვაწეობის და დამსახურების შესახებ უამბეს ფესტივალის მონაწილეებს და მაცურებლებს. შემდეგ კი იგი აირჩიეს ეროვნული ცენტრის საპატიო წევრად, დაჯილდოვდა ქართული საცეკვაო ხელოვნების ბრწყინვალეების ორდენით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სახელობის პრემიით, ქართული ქორეოგრაფიის ლეგენდის - ომარ მხეიძის სახელობის პრემიით.

ეს დღე სამუდამოდ დარჩება ქართული ქორეოგრაფიის ისტორიაში. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ სიახლის დანერგვის იდეა ეკუთვნის წარსულში ცნობილ მოცეკვავესა და ქორეოგრაფს, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის საპატიო თანათავმჯდომარეს, ბატონ ზაურ პაპიაშვილს.



პროფესორ-ემერიტუსი ბატონი რეზო ჭანიშვილი, წარსულში ცნობილი მოცეკვავე, საზოგადო მოღვაწე, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის საპატიო თანათავმჯდომარე, ბატონი თამაზ ათანელი, პოეტი და საზოგადო

2024 წლის 25 აპრილს, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, სამების დიდი საჯათედრო ტაძრის საყონფერენციო დარბაზში გაიმართება „სუხიშვილების“ ლეგენდარული ანსამბლის ბრწყინვალე მოცეკვავე-ხოლისტის, საუხუნის მოცეკვავის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, ეროვნული პრემიის ლაურეატის, ლეგენდარული ომარ მხეიძის ხსოვნის საღამო.



# გიორგი ღონაძე: პისუნიკი, რომ ქართული ფოტოლოგია და ბავშვების იმედი გახდა, ჩემი ქართული ფოტოლოგია

გაზეთ „ქართული ფოტოლოგია“ მეორე ნომერზე მუშაობისას, სარედაქციო კოლეგიაში გაჩნდა აზრი, რომ ქართული ფოტოლოგია ხელოვნების ნარსულზე, დღევანდელობასა და მომავალზე, საქართველოს ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოტოლოგის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის, ბატონი გიორგი ღონაძის აზრი მოგვესმინა და ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის გავეზიარებინა. მიუხედავად გადატვირთული სამუშაო გრაფიკისა, ბატონმა გიორგიმ გამოიხატა დრო, უპასუხა ჩვენს კითხვებს, რისთვისაც გაზეთ „ქართული ფოტოლოგია“ სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის მას.



**- ბატონო გიორგი, საინტერესოა თქვენი აზრი ქართული ფოტოლოგია ქორეოგრაფიის შესახებ - როგორი იყო ის წარსულში, რა სიბაღვალეა დღეს და როგორ წარმოიგდებოდა ის ხვალი?**

- მე ლოტბარი ვარ და კარგად ვიცი სიმღერის ისტორია, ვიცი, ის როგორ ვითარდებოდა, თუმცა ქორეოგრაფიაზეც შემიძლია ჩემი აზრი გამოვთქვა, იმიტომ რომ აქ, ფოტოლოგის ცენტრში, საკმაოდ კარგად გავსწავლე, რაც ხდება ამ მიმართულებით.

საქართველო ოდითგანვე მდიდარია გამორჩეული სიმღერებითა და ფერხულებით. ეს ყველაფერი - სიმღერა და ცეკვა, ქართველი ადამიანის გენეტიკაშია. რა თქმა უნდა, ქორეოგრაფია, როგორც ფორმითა და დღეს გვაქვს, ძველად ასეთი არ იყო, ის დროთა განმავლობაში განვითარდა, თუმცა სიმღერა და გალობა, ცეკვასთან შედარებით, ბევრად ადრე წარმოიშვა და, ბუნებრივია, ადრეც განვითარდა. მაგრამ ცალკე აღებული ქორეოგრაფია, როგორც ტიპისაც გვაქვს დღეს, მსოფლიოში გამორჩეულია და აბსოლუტურად სწორად დაინყეს მისი განვითარება ჩვენმა დიდებულმა წინაპრებმა, ესენი გახლდნენ: ლილი გვარამაძე, დავით ჯავრიშვილი, ილიკო სუხიშვილი (უფროსი), ნინო რამიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, ავთანდილ თათარაძე, კონსტანტინე (კონო) მანჯგალაძე, არ მინდა ვინმე გამოიჩინო. მათ აბსოლუტურად სწორად გადაიტანეს და განავითარეს ქართული ხასიათი ფოტოლოგულ ცეკვებში, დახვეწეს, მასშტაბური გახადეს, დადგმები განახორციელეს, დიდი ცოდნა გამოავლინეს, ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, მათ შექმნეს ქართულ ქორეოგრაფიაში ისეთი თანამედროვე ტიპის ანსამბლები, როგორც დღეს გვყავს და რომლებიც უდიდესი წარმატებით გამოდიოდნენ და გამოდიან მსოფლიო ასპარეზზე, საქართველოში და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

ბოლო პერიოდში გაჩნდა ტენდენცია, იდეა - სიახლეების ძიების, რაც „სუხიშვილების“

ანსამბლმა ყველაზე უკეთესად გააკეთა, უმცროსი ილიკოს ხელმძღვანელობით. ძიების ეს პროცესი მუდმივი, უწყვეტია და მე ეს ძალიან მომწონს. ბევრჯერ შეესწრებოდა პოლემიკას - ეს რატომ გააკეთა ილიკომ, ან პირიქით - რატომ არ გააკეთა, მაგრამ ეს უფრო თაობების დაპირისპირებაა და თანაც შემოქმედებითი, რომელიც მისაღებია, მთავარია, დაპირისპირება არ იყოს პიროვნული, პოლემიკა აუცილებლად იქნება და უნდა იყოს კიდეც. ეს პოლემიკა უნდა იყოს ურთიერთპატივისცემაზე დაყრდნობით და უნდა ემსახურებოდეს ქართული ქორეოგრაფიის კიდეც უფრო მეტად დახვეწა-განვითარებას. სიახლის არ უნდა გვეძიოდა. შემოქმედებითი სიახლეების ძიების და დანერგვის პროცესში ყოველთვის იქნება რაღაც კარგი. მე კონკრეტული ანსამბლი დავასახელებ, მაგრამ, საბედნიეროდ, არიან სიახლეთა ძიების მომხრე-მომხრეები. ქვეყნის მასშტაბით ბავშვთა ძალიან ბევრი ანსამბლია და დიდი მნიშვნელობა აქვს როგორ მუსიკას შევავარებთ ბავშვს, რაზე გავზრდით. მაგალითად, მე ასე ვიზამდი: პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ვასწავლიდი ტრადიციულს, ძველს, ნამდვილს და შემდეგ სიახლეების დაშენება ტრადიციულზე უფრო ბუნებრივი იქნება. ასე აკეთებს ბევრი ანსამბლი, რომელთაც აქვთ თანამედროვე პროგრამა, ჯერ ტრადიციულს ასრულებენ და შემდეგ თანამედროვეს, ან სრულიად ახალს. სამწუხაროდ, ყველას არ გამოხდის ეს, ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. როცა რამეს ქმნი, შეიძლება ამას განვითარებაც დაარქვა, მაგრამ პირიქით, ცუდი გამოვიდეს, ამიტომ, ისევე როგორც სიმღერაში, ქორეოგრაფიაშიც, როცა რაიმე ახალს ქმნი, მაშინვე გეტყობა გაქვს თუ არა სათანადო ცოდნა. საინტერესო ისაა, რომ ძალიან

ბევრი ქორეოგრაფიული ანსამბლია, საცხად რეგიონები და მშობლებსაც ძალიან დიდი სურვილი აქვთ, რომ ბავშვები ქართულ ცეკვაზე მიიყვანონ და ეს ძალიან კარგია, რადგან ქართულ ცეკვაში არის ქართული სული და ეს ქართული სული ჩვენ დღეს ისე გვჭირდება, როგორც არასდროს და ვისურვებდი, რომ ქართულ სიმღერასა და გალობაზეც იმდენი ბავშვი დადიოდეს, რამდენიც ქართულ ცეკვაზე.

ქორეოგრაფების სასიკეთოდ უნდა ითქვას, რომ ძალიან ძლიერები არიან. რა თქმა უნდა, არის აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ მაინც ერთად დგანან, რაც ლოტბარებმა უნდა გადავიღოთ მათგან.

ყურადღებას მივაქცევდი მუსიკას, ძალიან არ მომწონს ფონოგრამები, ვისურვებდი რომ ცოცხალი შესრულება იყოს, თუნდაც ერთჯერადად. რეპეტიციებზე იყოს ფონოგრამა, მაგრამ ღონისძიებებზე სასურველია ცოცხალი შესრულება, გასაგებია, რომ ეს დამატებით ხარჯვითან არის დაკავშირებული, მაგრამ იქნებ მოგვარდეს ეს პრობლემა. ფონოგრამის მონტაჟის დროსაც სიახლეების ძიებაში მყოფი ქორეოგრაფები რამდენიმე ნაწარმოებს აბამენ ერთმანეთს, რაც ყურს ცუდად ხვდება, ეს ძალიან მანუხებს. ასე რომ, ამ დიდი პრობლემის მოგვარებას ნამდვილად ვისურვებდი.

**- როგორ შეფასებთ მისცემდით ფოტოლოგის სახელმწიფო ცენტრში არსებულ ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მიმართულების საქმიანობას, მის პრაქტიკულ და სამეცნიერო მუშაობას?**

- ძალიან დიდი ხანია, რაც ქორეოგრაფიული მიმართულება გვაქვს ფოტოლოგის ცენტრში ბატონი უჩა დვალის ხელმძღვანელობით. ფოტოლოგის ცენტრმა, მასთან ერთად, გამოსცა ორი ძალიან დიდი და საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომი დავით ჯავრიშვილზე და ლილი გვარამაძეზე, რომლებიც ყველა ქორეოგრაფისთვის საშავილო ნიგნი უნდა იყოს. ძალიან დიდი რესურსი და შრომა ჩაიდო წლების განმავლობაში ამ ნიგნების მომზადება-გამოცემაში, მაგალითად, ლილი გვარამაძის ნიგნზე თითქმის 3 წელი გრძელდებოდა სამუშაო პროცესი. ასევე, წელიწადში ორჯერ ვატარებთ ქართული ცეკვების მასტერკლასებს.

ქორეოგრაფიული მიმართულების მუშაობით კმაყოფილი ვარ და, ვფიქრობ, არაფერი დაგვიკლია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წარმატებით მუშაობს ფოტოლოგის ცენტრის ბევრი ექსპედიცია. უკვე გამოვეცით შუახვევის ექსპედიციის მასალები და ახლო მომავალში ვგეგმავთ თურქეთის ექსპედიციის მასალების გამო-

ქვეყნებას. ბატონ უჩა დვალის ხელმძღვანელობით და ანზორ ერქომაიშვილთან ერთად ვიმყოფებოდით ბურსასა და ინეგოლში. ზღვა მასალა მოვიპოვეთ, რასაც, ბუნებრივია, გულდასმით დამუშავება სჭირდება. ფაქტობრივად, მთელი წელი უწყვეტად მიმდინარეობს მუშაობა ქორეოგრაფიული მიმართულებით.

**- წლების განმავლობაში, ფოტოლოგის ცენტრი წარმატებით ატარებდა და ატარებს საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი ცეკვების მასტერკლასებს. სამომავლოდ თუ იგეგმება ქორეოგრაფიული სამყაროსთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი მასტერკლასების ჩატარება?**

- რა თქმა უნდა, იგეგმება წელსაც, მომავალ წელსაც და ამას სისტემატური სახე აქვს უკვე მიღებული. უკვე ვთქვი, რომ ჩვენ წელიწადში ორჯერ ვატარებთ ასეთ მასტერკლასებს და ვცდილობთ, სრულად მოვიცვათ ყველა კუთხე და ცეკვა.

**- ახლახან გამოიცა „ქართული გალობის ანთოლოგიის“ 29 ტომი, სამომავლოდ იგეგმება თუ არა ამ მიმართულებით მუშაობა?**

- ეს არის ჩვენი ყველაზე მასშტაბური პროექტი. რა თქმა უნდა, ვგეგმავთ გაგრძელებას, ჩვენ არც გავჩერებულვართ, სამუშაო პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს, რადგან უამრავი მასალა უკვე დამუშავებულია, რომელიც უნდა გამოიცეს და კიდევ უამრავი უნდა დამუშავდეს და მომზადდეს გამოსაცემად. ასე რომ, კვლავ აქტიურად ვმუშაობთ.

**- ფოტოლოგის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით საქართველოში ჩატარდა საგუნდო მუსიკის შემსრულებელთა საერთაშორისო ფესტივალი. სამომავლოდ ხომ არ გეგმავთ ანალოგიური ფესტივალების ჩატარებას ქორეოგრაფიული ანსამბლებისთვისაც?**

- აღნიშნული ფესტივალი ჩატარდა საგუნდო საზოგადოების ინიციატივით, ჩვენ მხოლოდ დამხმარე როლი ვიყავით. ასე რომ, დაზუსტებით პასუხს ვერ გავცემთ, თუ იქნება შესაბამისი ინიციატივა, რა თქმა უნდა, ჩვენ მხარს დაუუჭერთ ინიციატორს და დავეხმარებით.

**- საქართველოში, ფოტოლოგის ცენტრის ინიციატივით, ჩამოყალიბდა სალოტბარო სკოლა-სტუდიები, ხომ არ გაქვთ დაგეგმილი ანალოგიური სკოლა-სტუდიების ჩამოყალიბება ქორეოგრაფიის მიმართულებით?**

- გეთანხმებით, 32 სალოტბარო სკოლა-სტუდია გავხსენით ქვეყნის მასშტაბით. რაც შეეხება ქორეოგრაფიულ სკოლა-სტუდიებს, იმდენი ანსამბლია ჩამოყალიბებული, რომ ამის საჭიროებას ვერ ვხედავ. მაგრამ, თუ რომელიმე ქორეოგრაფს ექნება რაიმე ღონისძიების ჩატარების ან ფოტოლოგული ცეკვის დამუშავების სურვილი და ამაში ჩვენი დახმარება დასჭირდება, რა თქმა უნდა, გვერდით დაუდგებით.

სალოტბარო ცინდელიანი

## საქვის ენა



ცეკვა - დვთაბრივი მიმოხვრა სულისა, - მროკველის, მლოცველის, მნირველის, პირველმა ვინ ხატა ქვაბულში ფერხული, იმ მწყობრში ვინ იყო პირველი? რომელი მკლავების სივრცეში ააღდა პირველად ტრფილის ქადილი, ზეციდან ჭაბუკის მოწყვეტილ ვარსკვლავებს, ქალწული რომ ჰყვინდა მანდილით. ან იქნებ ურჩი ძე სინანულს შეეპყრო, მიწიდან აფრენა ენადა, სამოთხის დახშული კარების საძებრად ხელები ალაპყრო ზეცადა. თუმცაღა, მისგადა, რომ თიხისაგან იყო,

აქ უნდა ეშენა ბაღნარი, ზეცით ჩამოსული მინაზე დაუნჯდა, ტერფზე და ცერებზე ნარნარით...

\*\*\*

„მამაცი იბერი - წერდა ქსენოფონტე - როკვენ და მრავალხმად მღერიან. ლამქრობას ხორონი იწყებენ, საკრავთა სიმებიც საამოდ მღერია. მხარი მხარს თუ მისცეს, რისხვის ზარს დასცემენ, ერთბაშად, რომსა და მიდიას, ბრძოლის წინ გაელობენ, მოძახილს დასჭევენ, ხმალდახმალ ლეკვებით მიდიან!..“ დიდგორზე მარცხნაჭამ ილლასაც აღმოხდა, დაპყრობის რომ სწავდა ნადილი: „იბერთა სიმღერას ცა ისმენს! ცეკვა კი, ღმერთმანი, ბრძოლაო ნამდვილი!“ მართლაც მთებს შევძრავდით, შეტორტმანდებოდნენ ოლიმპოს მწვერვალზე ღმერთები, ისე რომ შევმტკიცდეთ, როგორაც სიმღერით და დოლის რითმისას ვერთდებით!..

\*\*\*

ბინდიდან წარსულის ლიცლიცა ლანდები, დაქტილი - რითები მგოსანთა, მზეთამზის ქურუმთა ქოროთა ხორომი, „ოოომ“, „რაშოვდა“, „ვიოსაი“ და... ჰო, სამოხს ქართველი, კავკასის იერი, მითიურ ღვთაებებს ეზრახვის, ტურფა ტერფსიქორა ღირას დაადუმებს, ისმენს გაუგონარ შეძახილს. ეთსახის მზის ჭავლი თუ კვერთ ხუროთა კვესავენ რვალები ხალხის?

გაბასრულ ხანჯლიდან ასხლელი ნაპერწკალს, მზერით აქარვებენ ქალები. თვალების ალები, ვნების მიმალვები, ბაგე - გაუპობი მარჯანი, ჩოხა ვაჟკაცისა დიაცს ეკრძალება, შუაში გაუვლით ხანჯალი! ჰა, ჯარი, - მეფეთა დარბაზის ლომგულთა „დავლური“ - ლომების საფერი, კდემა - „სამაია“ სამთაფეროვანი, ფრესკით გადმოსული საფერი. საფრენად კამარა - ძუ ვეფხვის საშური, ხმალს შეგებებული ფარ-ჩუკი, აქ ყველა თორელი და შამქორელია, ყველა ცოტნეა და ბაჩუკი! ჩაუქი ცერებით ნანერი რიტმები, გენის გეჰენია - ალმური! ნარნარი დედეები, - გედების ცურვილით, ასულთა ღირსება კრძალული. „დავლური“, „სალაშქო“, „მარულა“, „მხედრული“, „ლალიონ“ - „ლამპრული“, „დაისი“, „ფარცა“, „გერგეტულა“ - სამსართულოვანი, „ბეთქილის ფერხულის“ - ხალისი! მაისის აისი - ძველი და ახალი, სიცოცხლის მარადი მაყარი, როკვაა ეს ჩემი ჯიშის და ჯილაგის - უბერებ ფესვს ამონაყარის! და როგორც იტყოდა დიდი რობაქიძე: ნურავინ შეჰბედავს ხელყოფას! ასეა, სხვა ვინმე ქართულს ვერ იცეკვებს, უბრალოდ, „რასა არ ეყოფა!“

თამარ ზარნუქიძე  
(წინიდან „ფრიდონ სულაბერიძე“)

# ფოტოლოგური სექსის მახასიათებლები



(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1)

ფერხულები, ფენის მოძრაობათა კომპლექსი, სხვადასხვა ფერხულისთვის განსხვავებულია და დღემდე გადაეცემა თაობიდან თაობას. თავდაპირველად შემქმნელი იქნებოდა ინდივიდი, რომლის გონებაში ჩაისახა და ჩამოიქნა ფოტოლოგური ნიმუში, მაგალითად, XII საუკუნის ფერხული თამარ დედოფალ ვერ შეინარჩუნებდა პირვანდელ სახეს, თუ მასში გამოთქმული აზრი არ მოხვედებოდა შემსრულებლისა და მასწავლებლის გულს, საზოგადოებისათვის მისაღები არ გახდებოდა, ზეპირად არ გავრცელდებოდა. სხვადასხვა გემოვნებისა და ნიჭის შემოქმედთა ხელში ფოტოლოგური ნიმუში, იხვეწება და ივინჯება პირვანდელ ავტორს, თუნდაც მას დაფიქსირებული ჰქონდეს თავისი ვინაობა.

შეიძლება ითქვას, რომ ხალხურ ცეკვას (არ იგულისხმება მისი სცენური გარდაქმნა) ჩამოერთვა ავტორობა. მეცნიერები განასხვავებენ ხელოვნების სამ ჯგუფს. იმპროვიზაციულს (არ გამოყოფენ პირველად შემოქმედებას მეორეულისაგან), დამოუკიდებელ მეორეულს. ბოლო ჯგუფს ეკუთვნის ცეკვის ხელოვნება, რადგან ის ცხადად არჩვენებს მეორეული შემოქმედების სამშრულელო ზემოქმედებას პირველადზე (ავტორისეულზე) ან ავტორის სრულ არარსებობას.

ქვეყნის ძირითადი სამეცნიერო დაწესებულებები ჩართულია სიმღერის, მუსიკისა და ტექსტობრივი ფოტოლოგის შესწავლაში. ისინი აგროვებენ მასალას, ამუშავებენ და აქვეყნებენ პუბლიკაციებს ათასობით ტირაჟით. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შრომებში არ არის არც ერთი სიტყვა ცეკვის შესახებ. დაინტერესებულ ადამიანს არ შეუძლია სადმე მიიღოს ელემენტარული ინფორმაცია ცეკვაზე. და დღემდე, ეს კრიტიკული აზრი აქტუალურია.

ავტენტური ცეკვის შესწავლა განსაზღვრავს ქართული ხალხური ქორეოგრაფიის, როგორც კულტურული მოვლენის, გარკვეულ დონეზე გაგებას. სამწუხაროდ, ხალხური ცეკვა სათანადოდ არ არის შესწავლილი და ჩვენი შეხედულებები

ბები ხშირად ემყარება არა სამეცნიერო ფაქტებს, არამედ „მითებს“. ამის მიზეზია საექსპედიციო (საველე) კვლევის პრაქტიკის აშკარა ნაკლებობა.

ყოველი მეცნიერებისა და დისციპლინის საფუძველს ტრადიციული კულტურის ფაქტობრივი ბაზა ქმნის, ურომლისოდაც შეუძლებელია სამეცნიერო დასკვნების, კლასიფიკაციის, გლოსოლოგიისა და ტერმინოლოგიის ლოგიკური დალაგება. სამეცნიერო ფაქტები სამეცნიერო ცოდნის საფუძველია, მათ შორის ეთნოქორეოგრაფიის, რომელიც ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია და მოძრაობის მკაცრი დაცვა აუცილებელი პირობაა. ხალხურ ცეკვაში ორგანულად შეინარჩუნებული, ერთი მხრივ, უკვე არსებული საცეკვაო ტრადიციები, მორე მხრივ, ის მუდმივად იმპროვიზაციით ახლდება და რეპროდუქციის ახალი აქტით მდიდრდება.

იმპროვიზაციულობა დამახასიათებელია ხალხური ცეკვისთვის და პირდაპირ უკავშირდება ტექსტის ცვალებადობას: ფოტოლოგური ნიმუშების ან მისი ნაწილების შექმნა პირდაპირი შესრულების პროცესში. იმპროვიზაცია არ ენიშნაღმდეგება ტრადიციას და გარკვეულ მხატვრულ ჩარჩოში ზის.

**ტრადიციული** – ჩვეულებრივი მოძრაობები – სვლები არ იცვლება თვითნებურად და უკავშირდება ახლის შეწყობას, შესრულების გამომსახველობასა და ცეკვის მრავალფეროვანი ორნამენტებით გამდიდრებას. დროთა ვითარებაში, საცხოვრებელი ადგილისა და პირობების შეცვლის გამო, ზოგიერთი იმპროვიზაციული შტრიხი ქრება, ხდება ფორმალური და სხვა იქნის კანონიერ ძალას.

**კოლექტიურობა** – ბალეტისა და ყოფითი ცეკვისგან განსხვავებით, სადაც ქორეოგრაფიული ნახაზი ძირითადად ეფუძნება სოლო და ჯგუფური ცეკვების მონაცვლეობას, ხალხური ცეკვა (განპირობებული მისი ბუნებისა და თავდაპირველი ფუნქციით) ორიენტირებულია კოლექტიურ შემსრულებლობაზე მიუხედავად იმისა, რომ სოლო პარტიები არ არის გამორიცხული (შეჯიბრების ხასიათის სხვადასხვა მითოლოგიური ცეკვა), ისინი ეპიზოდური ხასიათისა და ერთვება ჯგუფური შესრულების საერთო პროცესში.

**ტრადიციულობა და კონსერვატიზმი** – ფოტოლოგურის თითოეული მატარებელი წინამორბედს ეყრდნობა და ტრადიციის საზღვრებში ქმნის, იმეორებს, ცვლის, ავსებს ქორეოგრაფიულ ტექსტს. ფოტოლოგური გამოთქმული აზრები და გრძობები ეროვნულია, ხოლო სტილი – შინაარსის გადაცემის ფორმაა. ტრადიცია ფოტოლოგურის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძირითადი სპეციფიკური თვისებაა.

ხალხური ქორეოგრაფია ფოტოლოგურული გაგებით, საკმაოდ მდგრადია. საუკუნეებს გაუძლო სხვადასხვა ცეკვამ, ცეკვის ნახაზმა, პლასტიკამ და სხვა. თანამედროვე ხალხურ-სასცენო დადგმებში ქორეოგრაფები ცდილობენ ხალხური ცეკვის ტრადიციული ძირების შეინარჩუნებას. რა თქმა უნდა, ცეკვა ცოცხალია და, შესაბამისად, გარკვეულ ტრანსფორმაციას ექვემდებარება (ცეკვის გასცენურება, ავტორობის საწყისის გაძლიერება, საცეკვაო ნახაზის განახლება და სხვა). ასეთი ტრანსფორმაცია კი არ ანადგურებს, არამედ აახლებს, ამდიდრებს ხალხურ ცეკვას, აგუებს გარემოსა და რეალობას მხატვრული მოთხოვნებით და საჭიროებით.

## ფოტოლოგური სექსის სახეები და ფორმები

ტერმინი ფოტოლოგია (ინგლ. ფოტოლოგ – ხალხური სიბრძნე), პირველად ინგლისელმა მწერალმა უილიამ ჯონ ტომსმა 1946 წელს გამოიყენა და ამ მნიშვნელობითვე გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ფოტოლოგია – ხალხის სულიერი ცხოვრების ამსახველი ხელოვნება, ყოველი სახის პროფესიული ხელოვნების სათავე – ჩვენთან ხალხური შემოქმედების მნიშვნელობით დამკვიდრდა, თუმცა, ბოლო დროს უპირატესობა ფოტოლოგის მიენიჭა, მაგრამ, არცთუ იშვიათად, მას ტრადიციული ხელოვნებით ან ტრადიციული კულტურით ანაცვლებენ.

ტერმინი **ეთნიკური ცეკვა და ტრადიციული ცეკვა**, ცეკვის კულტურული ძირების საზღვარსაღარ გამოიყენება. ამ თვალსაზრისით ყველა ხალხური ცეკვა ეთნიკურია, თუმცა, ყველა ეთნიკური ცეკვა არ არის ხალხური, მაგალითად, რიტუალური ან რიტუალური წარმოშობის ცეკვები არ ითვლება ხალხურად. რიტუალურ ცეკვებზე, მათი მნიშვნელობის გამო, მიჩნეულია რელიგიური ცეკვები, ცეკვები თეთრი გიორგის პატივსაცემად, საცეკვაო-რიტუალური წესჩვეულებანი ავადმყოფობის დროს, რიტუალურ-სამედიცინოური და მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული საცეკვაო წესჩვეულებანი, რიტუალურ საცეკვაო წესჩვეულებანი ბავშვის დაბადების დროს, რიტუალური სახალხლო ცეკვები და სხვა.

ქართული ფოტოლოგური ქორეოგრაფია სასცენო ხალხური ცეკვების საფუძველია. სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ხალხური სასცენო ცეკვა უმავრებლოდ კარგავს ყოველგვარ აზრს, მაგრამ ყოფაში ფოტოლოგური ცეკვის შემსრულებელს ჰყავს თავისი მასწავლებელი. ფოტოლოგური ცეკვა გულისხმობს მასწავლებელთა თანა-

მონაწილეობას, ფოტოლოგურ ცეკვაში ძირითადად ასახულია იმ ხალხის ხასიათი და ტემპერამენტი, რომელმაც შექმნა იგი. ანონიმური წარმოშობის ცეკვა გადაეცემა თაობიდან თაობას. ფოტოლოგური ცეკვა შეიძლება შესრულდეს ქალაქში, მაგრამ მისი წარმოშობა ყოველთვის ასოცირდება სოფელთან. მიუხედავად აზრთა ისტორიული ხასიათის განსხვავებისა, სხვადასხვა ქვეყნების ფოტოლოგურ ცეკვებს აქვთ საერთო რიტმული სტრუქტურითა და მოძრაობის ნახაზით. ზოგჯერ გეოგრაფიული პირობების გამო გასხვავდება, მაგალითად, ერთი ქვეყნის მთის ცეკვები უფრო ჰგავს მეორისას, ვიდრე იმავე ქვეყნის ბარის ცეკვებს.


მასობრიობა ქართული საცეკვაო ფოტოლოგურის უძველესი ფორმაა. იგი სპონტანურად წარმოშობილი თამაშობებიდან იღებს სათავეს. იცეკვებოდა ასაკობრივი ზღვრისა და შემსრულებელთა რაოდენობის შეუზღუდავად. მასობრივი ცეკვა არ იყო სივრცეში ორგანიზებული – ყოველი მოცეკვავე ცეკვავდა თავისთვის, ერთმანეთის გვერდიგვერდ. რა თქმა უნდა, ცეკვისას იცვლებოდნენ პარტნიორები, იყოფოდნენ სამეულებად ან ოთხელებად, ქმნიდნენ ახალ ჯგუფებს. შემსრულებლებს შეეძლოთ თავიანთი შეხედულებისამებრ ტაშის დაკვრა, შეძახილები. მასობრივი ცეკვა იბადებოდა ძლიერი ექსტაზისას, საერთო რიტმის ემოციური განცდითა და ტაშით. საერთო რიტმი იპყრობდა და იმორჩილებდა ყველას. ის იყო სპონტანური (სტიქიური), უკონტროლო ხასიათისა. ერთსა და იმავე რიტმზე მასობრივად მოძრაობამ ხელი შეუწყო უზარმაზარი ენერგიით, ერთი გრძობით ადამიანთა სულიერ გაერთიანებასა და შერწყმას.

მასობრივი ცეკვებს გამოეყო ჯგუფური ცეკვები – დაიწყო საცეკვაო ილეთების თანმიმდევრობით შესრულება, ცეკვის ნახაზის გამოყენება და ერთ საერთო რიტმში ემოციური მდგომარეობის გამოხატვა. შემსრულებელთა მიხედვით ჯგუფური ცეკვა დაიყო მამაკაცთა, ქალთა და შერეულ ცეკვებად.

მამაკაცთა ჯგუფური ცეკვას ასრულებდნენ ნადის დროს, როდესაც სოფლის მამაკაცები ერთად, „ერთ საქმეზე“ შეიკრიბებოდნენ: გურიში გავრცელებული შრომის სიმღერა სახლის ასაშენებელი მორების ტყიდან გამოტანისას სრულდებოდა. სამშენებლო სამუშაოს დასრულების შემდეგ ოჯახის უფროსი მათ სუფრასთან ინვევდა და მამაკაცები ჯგუფურად ცეკვავდნენ.

## უჩა დვალისვილი პროფესორი (გაგრძელება იქნება)

# რა კალაა ამ ტკბილ ხმაში



მხოლოდ მხიარულ განწყობილებას როდი გულისხმობს. ამას თვით ხალხური ლექსიც გვეუბნება:

„განა ლალი ვარ, რომ ვმღერი, გულისა დარდას ვიქარვი“.

მწუხარება და სიხარული ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში, როგორც ერთმანეთის გამმიჯნავი და ამავე დროს, გამანონასწორებელი ფაქტორები, სხვადასხვაგვარ ჟღერადობაში პოულობენ გამოხატვას.

ჩვენში დიდი გლოვის გამოთქმაც სიმღერით ხდებოდა და ამგვარ საგალობლებსაც მრავალგვარი სახელი დაენათლა: „ზარი“, „დალაი“, „დვრინი“, „ზრუნი“, „მოთქმა“, „ხმით ტირილი“ და ა. შ.

ქართული სასიმღერო ჰანგები გასაოცარი მრავალფეროვნებით არის აღბეჭდილი.

მის განსხვავებულობას და განსაკუთრებულობას ხაზს უსვამდნენ დიდი კომპოზიტორები – სტრავენსკი და ბენდერევი.

ბალაქორევი თავის ერთ-ერთ წერილში წერდა: „ქართული ხალხური სიმღერის მოსმენის დროს, ჩემი მუსიკალური სმენა განიცდის ფიასკოს“.

საქართველო რამდენიმე კუთხისაგან შედგება, თითოეულ მათგანს მუსიკალური თავისთავადობა და გამორჩეული ხელნერა აქვს.

გურულ სიმღერაში სამივე ხმა დამოუკიდებელია, მაგრამ ერთობლიობაში ისინი უნისონს ქმნიან.

ქართლ-კახური სიმღერა სრულდება ბანის თანხლებით და პირველი და მეორე ხმის სოლო შესრულებით.

მეგრულ სიმღერას ახასიათებს

ღრმა მელიოდურობა და დიდი სეველა.

სვანურ სიმღერაში ზვიადი მთების გორბოში სულია ჩანურული.

იმერულ სიმღერას თან ახლავს იმერული კაცის სიღარბისილე.

აჭარული სიმღერები, აჭარის ლაჟვარად ცასავით კამკამა და უძიროა.

რაჭული სიმღერის ძალა მოდიდებულ „ქვედრულას“ ნააგავს.

ალმოსავლეთ საქართველოს მთაში ძირითადად ცალხმიანი სიმღერებია, მაგრამ ისინი გამოირჩევიან საოცარი ტკბილხმოვანებით.

სიმღერა მთელი არსებობის მანძილზე განუშორებელი იყო ქართველი კაცისათვის.

მისით ხდებოდა საომარი განწყობილების მოგვრა, შრომაში გახალისება, ლხინის სუფრის დამშვენება, გაუსაძლისი ტკივილის დაძლევა. სიმღერაში ჩანს

ერის ხასიათი, ტრადიციები, მაღალზნობრივი იდეალები, მტერ-მოყვარისადმი დამოკიდებულება, სტუმარ-მასპინძლობა, გულდაიობა, შეგუბებული სევდაც და სიხარულიც.

ქართული ხალხური მუსიკის მრავალფეროვნება და ჰარმონია ქვეყნის ეთნოკულტურულ მრავალსახეობასა და ერთიანობას ასახავს.

ამ პოლიფონიური სიმღერების თავისებურება ისაა, რომ ერთი ხმა არასოდეს მეორდება იგივე ტონალობით. ყოველ შესრულებას თავისი იმპროვიზებული სახე აქვს. მასში მთელი სიცხადით იკვეთება შემსრულებელთა ხასიათი, ტემპერამენტი, მსოფლმხედველობა.

## ირაკლე საღლიანი, სახალხო პოეტი ნივნიდან „რაშოვდა“

# სვანური სიმღერის მესაიღებმა



სვანეთი ყოველთვის მდიდარი იყო ფოლკლორული კოლექტივებით. სვანური სიმღერა დღემდე ინახავს მუსიკალური აზროვნების პირველქმნილ, წარმართულ ბუნებას. მას ძლიერი, დამოუკიდებელი ადამიანები ქმნიდნენ. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ქართული ფოლკლორის შესანიშნავი მცოდნე, სვანური სიმღერის მესაიღებელი, ცნობილი ლოტბარი, საქართველოს სახალხო არტისტი ჯოკია სანდროს ძე მეშველიანი.

ორმოცი წლის განმავლობაში ის ლენტეხის ანსამბლ „ლილეს“ უცვლელი ხელმძღვანელი იყო. ჯოკია მეშველიანი არაჩვეულებრივი პიროვნება გახლდათ, თავისი კუთხის დიდი პატრიოტი, სვანური სიმღერების იშვიათი მცოდნე, შესანიშნავი მომღერალი და მოცეკვავე, სვანების საყვარელ საკრავ ჭუნირზე საუკეთესო დამკვრელი, მრავალი სიმღერის ავტორი, პედაგოგი, მსახიობი, რეჟისორი, მან აღადგინა ბევრი მივიწყებული სიმღერა და რიტუალი. თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას საზოგადო მოღვაწე, ეს ნამდვილად თამამად შეიძლება ეწოდოს ჯოკია მეშველიანი.

ჯოკია მეშველიანი გამორჩეული კვალი დატოვა სვანური სიმღერების მოძიება – გადარჩენის საქმეში. დადიოდა სოფლებში და მოხუცებისაგან ინერდა მივიწყებულ ძველ სიმღერებს და უცნობ ვარიანტებს, ის მუდამ ზრუნავდა სვანური ფოლკლორის აღორძინებაზე. წლების მანძილზე მუშაობდა ლენტეხის რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ. მის სახელთანა დაკავშირებული ბევრი მნიშვნელოვანი საქმის ნამოწევაა. აღსანიშნავია, მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, ჯოკია მეშველიანი აღზარდა რამდენიმე თაობა საუკეთესო მომღერლებისა, რომლებიც დღესაც ღირსეულად აგრძელებენ მის მიერ დაწყებულ საქმეს.

უდიდესი მუსიკალური ნიჭის გარდა დაჯილდოებული იყო შეუდარებელი ადამი-

ებდა და მის დიდ პედაგოგებად მიიჩნევა ლენტეხის მომღერალთა გუნდის ერთ-ერთ დამაარსებელს, ცნობილ ლოტბარს ილია ფალიანს, აკაკი ქარსელაძეს, რომელმაც დიდი მხარდაჭერა გაუწია როგორც მორალურად, ასევე, მატერიალურად. ყვებოდა თუ როგორ რუდუნებით შეასწავლა მას სალოტბარო ტექნიკა, საგუნდო საქმიანობა, ორგანიზატორული მხარეები. თავის მასწავლებლად თვლიდა აგრეთვე ლენტეხში მოღვაწე იოსებ მუკბანიანს და თავის უფროს ძმას გრიგოლ მეშველიანს. თავად სიკეთის მკეთებელი კაცი, სიკეთეს არავის უვიწყებდა.

ლენტეხში ოდითგანვე ხალხური სიმღერების უძველესი ტრადიცია არსებობდა, იმართებოდა სახალხო ზეიმები. ყოველივე ამას სპონტანური, არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა. 1933 წელს ლენტეხის დიდი მოამაგის, ირაკლი ქურასბედიანის ინიციატივით, რაიონში მომღერალთა პირველი გუნდი შეიქმნა. მის ხელმძღვანელად სვანური სიმღერების საუკეთესო მცოდნე მურზაყან დადემქელიანი მიიწვიეს. მან 25-წევრიანი ანსამბლი ჩამოაყალიბა და დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ანსამბლის ხელმძღვანელობას. რეპერტუარი უმეტესად ღია ცის ქვეშ მიმდინარეობდა. სამუხაროდ, მურზაყან დადემქელიანის მოღვაწეობა ხანმოკლე აღმოჩნდა, ოჯახური მდგომარეობის გამო მან მალე დატოვა რაიონი და მის



მიერ დაწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელა ცნობილმა მშენებელმა, ჩინებულმა მომღერალმა ილია ფალიანმა. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა მრავალი ხალხური სიმღერა და ფერხული შეისწავლა. ბევრი საინტერესო კონცერტი გაიმართა რაიონში, მაშინ პირველად შეიკრეს მომღერლებმა ერთნაირი ჩოხა-ახალუხები.

1954 წლიდან, ანსამბლის ბიოგრაფიაში, ახალი ეტაპი დაიწყო. გუნდის ხელმძღვანელად ჯოკია მეშველიანი დაინიშნა. მან გადანაწილა, გუნდი შეეცვლა და გაეფართოებინა ნიჭიერი ახალ-გაზრდა თუ ჭარმაგი მომღერლებით, ძირითადად ენთუზიასტების ხარჯზე. ჯერ 75 კაცამდე გაზარდა, შემდეგ, გუნდთან ერთად, შექმნა მოცეკვავეთა ჯგუფი და რაოდენობამ 110-ს მიაღწია. ასე ჩაეყარა საფუძველი ლენტეხის რაიონის კულტურის სახლთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, რომელმაც მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერა არა მხოლოდ მშობლიური რაიონის, არამედ მთელი საქართველოს კულტურულ ცხოვრე-



ბაში. ანური თვისებებით, მეგობრობდა სხვადასხვა კუთხის მომღერლებთან, პატივს სცემდა და აფასებდა მათ ხელოვნებას, უზიარებდა საკუთარ გამოცდილებას.

ყველა უყვარდა, ყველას მიმართ კეთილგანწყობილი იყო. მადლიერების გრძნობა ჯოკიას დამახასიათებელი თვისება იყო, ის ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენ-

ვარი ანაზღაურების გარეშე, ენთუზიაზმზე, მაგრამ წარმატებას წარმატება მოსდევდა.



ჯოკია მეშველიანის გუნდის მიერ შესრულებული სიმღერები თავისებურ სახასიათს წარმოადგენდა, რადგან ფერხულით სრულდებოდა და გარკვეულ შინაარსობრივ დატირთვასთან იყო დაკავშირებული. ეს კარგად აქვს შემჩნეული აკაკი გელოვანს, რომელიც ამ გამოსვლასთან დაკავშირებით წერს: „სადაც ხეობის სიღრმიდან ისმის ხალხური საგმირო სიმღერა. სცენაზე, ნელ-ნელა გამოდინა ხელიხელაკიდებული სვანი ვაჟკაცები, ისინი უმღერიან სვანეთის დიდ სახალხო გმირს, ყანსავ ყიდვიანს. ამაღლელებელია სიმღერა თამარ დელოფალზე. ეს სიმღერა-ფერხული შემდეგ მესტიის გუნდმაც შესრულა, მაგრამ მათ შორის განსხვავება მეტია, ვიდრე მსგავსება. ეს ეხება შესრულების რიტმსაც, ხასიათსაც, ორივე კი თავისებურად მომზიბლავია და ეს მეტყველებს გუნდების ხელმძღვანელთა შემოქმედებით თავისთავადობაზე.“

ჯოკია მეშველიანი მრავალი სახალხო დღესასწაულის, მასობრივი ღონისძიების სცენარის ავტორი და რეჟისორი გახლდათ. ანსამბლ „ლილეს“ ყოველი კონცერტი თავისებურად თეატრალური წარმოდგენა იყო, მათი ყოველი გამოსვლა, ხალხური სიმღერისა და ფერხულის, ძველი წესჩვეულებებისა და რიტუალების დემონსტრირება, ნამდვილი ცოცხალი თეატრია, რომლის სცენარისტი და უცვლელი რეჟისორი ჯოკია მეშველიანი იყო.

„ლილე“ წარმოადგენდა ჭეშმარიტად ფოლკლორულ ანსამბლს, რომლის რეპერტუარი ძირითადად პირველქმნილი, ძირძველი ფოლკლორული ნიმუშებისაგან შედგებოდა, სადაც ძირითადად სვანური სიმღერები სრულდებოდა.

1978 წელს, „ლილეს“ სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა. მისი ხელმძღვანელი კი ძალ-ღონეს არ იშურებდა ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისთვის.

ჯოკია მეშველიანი, მონღობასა და შრომისმოყვარეობასთან ერთად შესანიშნავად ფლობდა ხალხური სიმღერის შინაგან ბუნებას. ზედმინევი იცნობდა ხალხური სიმღერის შესრულების მრავალსაუკუნოვან ტრადიციას, საგუნდო საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალი იყო. სხვაგვარად მისი შვილობილი ანსამბლის – „ლილეს“ ტრიუმფალური აღმასვლა შეუძლებელი იქნებოდა.

ჯოკია მეშველიანი, როგორც ლოტბარმა, თითქმის შეუძლებელი შეძლო. დიდ სახალხო ანსამბლს ავთენტური ფერადობა შეუნარჩუნა, რაც საკმაოდ რთული იყო.


ავთენტური სიმღერისადმი ინტერესი საქართველოში XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება. ბატონი ჯოკიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის შემოქმედებაში ეს პროცესი გაცილებით ადრე, 50-იანი წლებიდან მიმდინარეობს. მან თავიდანვე ძიებით, ფერხულებისა და ძირძველი სიმღერების შეგროვებით დაიწყო და მთელი შემოქმედება ამ გზით წარმართა.

ანსამბლმა „ლილემ“ თავისი არსებობის მანძილზე აღადგინა მრავალი მივიწყებული სიმღერა, შენარჩუნდა უძველესი საკრავები

- ჭუნირი და ჩანგი. დაულაღვი მოღვაწეობის წყალობით, მას დამსახურებულად მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება. ამასთან ერთად, ანსამბლის სოლისტებს -

გელა გუგავას, ისიდორე ბენდელიანს, ჯემალ ონიანს და ანსამბლის ქორეოგრაფს, შურმან ბენდელიანს მიენიჭათ კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად, ჯოკია მეშველიანი უაღრესად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ



საქმიანობასაც ეწეოდა. მისი ინიციატივით ბიბლიოთეკების, კულტურის სახლებისა და კლუბების ფართო ქსელი წარმოიქმნა. რაიონისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსება, რისთვისაც ექსპონატების მოძიებითა და შესყიდვით თავად ჯოკია მეშველიანი იყო დაკავებული.

მისი მრავალმხრივი, თავდაუზოგავი, შინაარსიანი ცხოვრების გადასახედიდან თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ის ჭეშმარიტად სახალხო მოღვაწე იყო, რომლის სახელი



დღესაც ლეგენდასავით დადის სვანეთში, როგორც სწორუზოგარი შემოქმედის, ღირსეული მამულიშვილის, გულისხმიერი, საკუთარ სამშობლოზე, კუთხეზე, სიმღერაზე, ადამიანზე შეყვარებული ნამდვილი კაცის.

მის მდიდარ შემკვიდრებაზე მრავალი თაობა გაიზრდება და ისევე, როგორც სვანური სიმღერებს, არც მათ მოამაგეს უწერია დაიწყება.

ირმა ქურასბედიანი  
პოეტი, ხელოვნებათმცოდნე

# ქართული ხალხური ქორეოგრაფიის კლასიკური მემკვიდრეობა

## ქართული ხალხური ქორეოგრაფიის დიალექტების განვითარების ზოგიერთი საკითხი



ნანიკი პირველი

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება, დიდი ხანია, მთელი ჩვენი საზოგადოების, ასევე უცხოელ მკვლევართა ყურადღებას იპყრობს. დაიბეჭდა არა ერთი საინტერესო წერილი, გამოქვეყნდა მონოგრაფიული გამოკვლევები, სადაც გაანალიზებულია ცეკვის წარმოშობის, მისი ისტორიული განვითარებისა თუ სასცენო შესრულების საკითხები. ამასთან, უნდა ითქვას, რომ განუვლი მუშაობა ჯერ კიდევ ცოტაა იმასთან შედარებით, რასაც თვითონ ქართული საცეკვაო ფოლკლორი წარმოადგენს და, ამდენად, სიღრმისეული, საფუძვლიანი კვლევებითი საქმიანობა ჯერ კიდევ წინაა. გასაკეთებელი კი მართლაც ბევრია. სამაგალითოდ, ამ მხრივ, ჩვენ, მოცემულ ეტაპზე, ქართული მუსიკათმცოდნეობის მიერ განუვლი მუშაობა გვესახება. მათ მიერ მუსიკალურ-ფოლკლორული ტრადიციების კვლევაში მიღწეულ წარმატებებს ჩვენთვის მაორიენტირებელი მნიშვნელობა აქვს, რადგან უძველესი საცეკვაო პანთომიმა და სიმღერა ერთ სინკრეტულ ძირზე აღმოცენებული მხატვრული საქმიანობის ფორმაა, ისინი საუკუნეების მანძილზე ერთად მოდიოდ-

ნენ და, ამდენად, მოჭარბებულ გავლენასაც განიცდიდნენ ერთმანეთისაგან. უფრო მეტიც, მათ ხშირად საერთო ჰქონდათ მოძრაობისა და ფლერადობის რიტმი, ბგერითისტყვიერი თანხლება, იდეურსტეტიკური მიზან-ამოცანები და ა. შ. ამგვარი ახლობლობის გამო, ერთი რომელიმე მათგანის სტრუქტურული, მხატვრულ-სტილისტური თუ სხვა მახასიათებლების შესახებ დაგროვილი ინფორმაცია და მეცნიერული მონაცემები, გარკვეულ ცოდნას გვაძლევს მეორე მიმართულებითაც, ამ შემთხვევაში ქორეოგრაფიული ხელოვნების სფეროს ირგვლივ. აღნიშნული საკითხი, ჩვენ, შემთხვევით არ დაგვიყენებია. რაც გაკეთდა (გაკეთებული კი საკმაოდ ბევრია), ჯერ მხოლოდ მაინც მასალა საიმისოდ, რომ მომავალში დაინეროს საფუძვლიანი, მეცნიერული ისტორია და მოხდეს მისი განზოგადება. ამ საქმეში, ბუნებრივია, წამყვანი როლი ქორეოგრაფიული ხელოვნების მკვლევარებს უნდა ეკუთვნოდეთ, მაგრამ ისინი, ცხადია, გვერდს ვერ აუხვიან იმ უმდიდრეს მემკვიდრეობას, რომელიც ქართულმა ისტორიკოსებმა, ფოლკლორისტებმა თუ მუსიკათმცოდნეებმა დააგროვეს. საილუსტრაციოდ ჩვენი წინამდებარე გამოკვლევაც გამოდგება, რომელიც ამკარად აჩვენებს, რომ ხალხურ ფესვებზე აღმოცენებული ხელოვნების განვითარების ისტორიული კანონზომიერებანი, გარკვეულწილად კომპლექსური ხასიათისაა და მისი ანალიზიც სწორედ ამგვარ კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. აქ კი მომიჯნავე მეცნიერებთა მიგნებებს კარგი სამსახურის განვევა შეუძლია.

წინამდებარე ნაშრომში გვინდა ერთი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი საკითხი დავაყენოთ, კერძოდ, ეს არის ქორეო-

გრაფიული დიალექტების პრობლემა. ამჯერად შემოვიფარგლებით მხოლოდ საკითხის დასმის წესით, რადგან მიგვაჩინია, რომ აღნიშნული პრობლემა მრავალმხრივ თეორიულ-პრაქტიკულ, ასევე, ისტორიულ და მასალების შედარებით განხილვას მოითხოვს.

მიგვაჩინია, რომ ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება ისევე შედგება დიალექტებისაგან, როგორც, ვთქვათ, ხალხური სიმღერა (მუსიკა). იგი სწორედ დიალექტების ერთობლიობაა. აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ზოგადი ენათმეცნიერება“ აღნიშნავდა, რომ „უმწერლო ენებში ისტორიის ტვირთი გეოგრაფიამ უნდა ზიდოს: „კილოებმა და კილოკავებმა“. თუ „კილოებისა და კილოკავების“ ადგილზე „დიალექტებს“ ვიგულისხმებთ, ამასთან, საცეკვაო ხელოვნებას პლასტიკური გამომსახველობით განსხვავებულ „უმწერლო ენად“ მივიჩნევთ, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიის სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელია ცალკეულ დიალექტთა შესწავლისა და მათი ურთიერთმიმართების თავისებურებათა შესწავლის გარეშე.

საკითხის ამგვარად დასმა ძალიან ბევრ სირთულეს უკავშირდება და რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას მოითხოვს. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ცალკეული ქორეოგრაფიული დიალექტების დადგენა-კლასიფიკაცია, რაც, ბუნებრივია გარკვეულ თეორიულ პრინციპებს, საყოველთაოდ მისაღებ დებულებებს უნდა ემყარებოდეს. სამწუხაროდ, ქართული საცეკვაო ფოლკლორისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი პრინციპები

შემუშავებული არ არის. ერთდერთი მეთოდი, რითაც ჩვენი სპეციალისტები დღემდე ხელმძღვანელობენ, ესაა ე. წ. აღწერის მეთოდი. იგი გვიხასიათებს, როგორც ესა თუ ის ცეკვა, მაგრამ არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რატომაც იგი ასეთი და არა სხვაგვარი, კონკრეტული რეგიონის ფარგლებში.

აქედან გამომდინარე, ქართული საცეკვაო ხელოვნების ბედით დაინტერესებული მკვლევარებისათვის ისახება კონკრეტული მიზანი, კერძოდ, საჭიროა ქორეოგრაფიულ დიალექტთა გამოვლენისა და დახასიათების ძირითადი პრინციპების დადგენა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის საცეკვაო ხელოვნების ძირითადი თავისებურებების განსაზღვრა და კლასიფიკაცია, ასევე, დიალექტთა ურთიერთმიმართების დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენა და ამით ქორეოგრაფიული ენის განვითარების ზოგადი კანონზომიერების განსაზღვრა. აქვე შევინიშნავთ, ჩვენი ნაშრომი, ამჯერად, აღნიშნულ საკითხებს ვერ ჩაუღრმავდება და მისი მიზანი უფრო მოკრძალებულია. ჩვენ, როგორც ითქვა, მხოლოდ საკითხის დასმით შემოვიფარგლებით.

ხალხური ხელოვნების დარგების ისტორიისა და თეორიის მკვლევართა შორის, დიალექტის ცნებას უმეტესწილად მუსიკათმცოდნეები იყენებენ. თვითონ ტერმინი „დიალექტი“ (ბერძნული ენიდანაა შემოსული) ნასესხებია ენათმეცნიერებიდან.

**რაზო ჭანიშვილი**  
 პროფესორ-ემერიტუსი  
 ნინიდან „წერილები ქორეოგრაფიაზე“  
 (გაგრძელება იქნება)

# ქართული ფოტოგრაფიის უნიკალობის თაობაზე

ხალხური საგანძობი ნებისმიერი ერის კულტურული დონის უტყუარი მაჩვენებელია; ამ მხრივ ქართველები უფალმა წამდვილად საგანგებოდ გაგვანებებია, ქართული ფოლკლორის უნიკალობა იმდენად მრავალნაზნაგოვანი და განუმეორებელია;

ცოდავა გამხელილი სჯობს, ჩვენი ხალხური საუნჯის შესახებ საკმაოდ რთულია რაიმე სიახლე დაინეროს, უკვე იმდენი რამ თქმულა და საქვეყნოდ გამოჩნეულა, თუმცა ფოლკლორის წიაღი იმდენად ღრმა და უსაწყალოა, მის ფსკერზე დავანებული უცნობი მარგალიტების აღმოჩენის ბედნიერი მოლოდინი ეროვნული კულტურის დაუღალავ მოჭირნახულეებს არასდროს გაუნელდება; მანამ კი, ციფრული ეპოქის გაბატონების კვალდაკვალ, ფოლკლორული საგანძობი მეტ ცხოველმყოფელობასა და განუმეორებლობას იძენს, რაც სათანადო დაფასებასა და გაფრთხილებას გადაუდებლად საჭიროებს, ფსევდოხელოვნებამ კაცობრიობა რომ არ წაღვეს და, მასის გემოვნების დაქვეითების კვალდაკვალ, მარადიული ფასეულობების ბალავარი საბედისწეროდ არ შეარყიოს; აქედან გამომდინარე, მომავალი თაობებისთვის ქართული ფოლკლორის სისხლხორცეული შეთვისება და გასიგრძეგანება ეროვნულ კულტურასთან ზიარების საკრალური მნიშვნელობის ტოლფასია;

ფოლკლორი, როგორც გამორჩეულ პოეტა შემოქმედების სამეფლო, ისტორიულ კონტექსტშიც საკმაოდ მრავლისმეტყველია; მხედველობაში მაქვს ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი შესანიშნავი პოეტისა და საუკეთესო მამულიშვილის, მიხა ხელაშვილის მაგალითი, რომელიც ბოლშევიკურ წყობას შეენირა;

ვერაგულად მოკლული უშიშარი პოეტის ლექსები აიკრძალა; მეტიც, ჭაბუკი მგოსნის შემოქმედება განადგურებას რომ გადაერჩინათ, ჩვენმა ამაგადარმა მოღვაწეებმა მუშაობა პოეტის ლექსები ხალხური პოეზიის ნიგნის სათუთად შეინახეს; ხელაშვილის ალალი და ბუნებრივი ლექსები უმალ გახალხურდა და მთელ საქართველოს მოედო ისე, რომ დიდი ხნის განმავლობაში გულიდან ამოხეთქილი საოცარი პოეზია უმრავლესობას ხალხური გენიის ნაყოფი ეგონა, რაც ცალკე საგანგებო მოვლენაა; საკუთარ დღეობაზე, მეგობრის მიერ მზაკვრულად მოკლული ჭაბუკი პოეტი (მიხა 1925 წელს 25 წლის ასაკში დაიღუპა), ალბათ ვერასდროს წარმოდგენდა, მისი პოეტური ნიმუშები ფოლკლორის წიაღს ასე თუ გადაეხლართებოდა; კვლავ „ხედმეტად“ წამოგრაგნილი ისტორიული ასოციაცია: ქაქუცა ჩოლოყაშვილს თავისი შეფიცული რაზმელის ლექსები იმდენად იზიდავდა, ემიგრაციის წინ, ჭაბუკ პოეტს უცხოეთში გამგზავრება და ნიჭის განვითარება შესთავაზა (მიხა, აქ ოხერი ბოშევიკების ხელში შენი ნიჭი ცოდოაო, ლეგენდარულ ქაქუცას უშიშარი თანამებრძოლისთვის სეგდინად უთქვამს), რაზეც გადაჭრით უარი მიიღო; მიხა ხელაშვილის სახალხო განწყობამ და უდრეკმა სულისკვეთებამ სამშობლოსგან შორს ყოფნა ვერ იგუა, აქ პოეტის მრწამსი უმაღლეს ეროვნულ ცნობიერებას უყოყმანოდ გადაეჯახვა; მისი გამორჩეული და ცინცხალი ლექსები კი ფოლკლორულმა წიაღმა უყოყმანოდ შეითვისა. ვინდლო რამდენი ქართველი ლიდინებდა მისას შედევრებს, რომელთაც ხალხური წიაღი კვებავდა და ამდიდრებდა...

ფოლკლორული რეტროსპექტივა შეუძლებელია ლეგენდარული ანსამბლის

„რუსთავის“ ხსენების გარეშე, რომლის გაუხუნარი კორიფე – ჰამლეტ გონაშვილი უფალს ღვთაებრივი ნიჭით დაეჯიდებინა. ცოტას თუ სმენია, რომ უებრო მომღერალმა ისტორიული ფაკულტეტი (დაუსწრებლად) დაამთავრა და ღირსეული პედაგოგის – მამის, დიმიტრი გონაშვილის (დიმიტრი გონაშვილი მშვენიერი ზღაპრების ავტორი გახლავთ) ეროვნული აღზრდით შთაგონებული, ტრიუმფალური საზღვარგარეთული გასტროლების დროს, უცხოელებს საქართველოს კულტურას დღენიდაც დაუცხრომლად აცნობდა; ის საამაყო ფაქტი, რომ კოსმოსში „ჩაკრულო“, ულვეი აღტაცების კვალდაკვალ ადამიანებზე სამკურნალო ზემოქმედებას ახდენს, ეს ქართული ხალხური მუსიკის უნიკალობას თვალნათლივ ადასტურებს.

ქართული ხალხური მუსიკა, ჩვენი უძველესი საკრავების თანხლებით, გრანდიოზულ შთაბეჭდილებას იმდენად აღრმავებს და აძლიერებს, ამ საოცრების შემდეგ გაოგნებული უცხოელების გამოხმაურებების აღწერა უსასრულოა; „რუსთავის“ კორიფე – ქართული საკრავების დიდოსტატი ომარ კელაპტრიშვილი ქართული სალამურით მსოფლიო კონცერტების დროს იმგვარ ფურორს იწვევდა, ამის გადმოცემა კალმით შეუძლებელია; 1938 წელს ქართული ისტორიის მამამ – ივანე ჯავახიშვილმა, არქეოლოგიური გათხრების დროს, მცხეთაში პატარა მწყემსი ბიჭის საფლავი აღმოაჩინა, რომლისთვისაც დაღონებულ ჭირისუფლებს სალამური ჩაუტანებიათ. „ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მე ამ სალამურს ჩავერე და 2500 წლის წინ დაღუმებული საკრავი ხელახლა ავახმიანე“, (ეს უძველესი სალამური ხელოვნების მუზეუმია დაცული) - ომარ

კელაპტრიშვილის სიტყვებიდან გადმოღვრილი განცვიფრებანარევი აღფრთოვანება ცალკე აღებული უთარგმნელი მელოდიაა; ანზორ ერქომაიშვილის ამაგი ცალკე არსანიშნავია; გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე, მისი პირადად გაცნობის ბდნიერება მხვდა წილად და ქართული მუსიკის ჯადოქრის მოკრძალებამ და თავმდაბლობამ სასიამოვნოდ გამოაგნა; მცირე მოცულობის წერილში უამრავი ღირსეული მუსიკოსის დასახელება ჩვენს ძალებს ამკარად აღემატება...

ქართველი კორიფეების წყალობით, ეროვნული საკრავების თანხლებით გაუღრებული უბადლო ქართული მრავალხმიანობა, ფოლკლორული მუსიკის მწვერვალია, რაც, საბედნიეროდ საერთაშორისო ასპარეზზე სათანადოდა დაფასებული და აღიარებული. ქართული საგალობლების განსაცვიფრებლად დინამიკური ისტორია დიდი მამულიშვილებისა და ეროვნული კულტურის დაუღალავი მოამბეების: პავლე ინგოროყვას (სახელოვანმა მკვლევარმა უნიკალურ ქართულ ჰიმნებში სანოტო სისტემა აღმოაჩინა და გაშიფრა), ფილიმონ ქორიძისა და ძმები კარბელაშვილების ფასდაუდებელი ღვანლის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია...

ჩვენ კი ისლა დაგვრჩენია, ჩვენი ფოლკლორის განუზომელი ღირებულება არასდროს დავივიწყოთ, მომავალმა თაობებმა რომ იცოდნენ და საფუძვლიანად იამაყონ რა საუნჯეს ფლობენ, რისი მოფრთხილება, შენარჩუნება და განვითარება ესტაფეტასავით უნდა გადაიბარონ, როგორც ეს უნიკალურ ქართულ ხალხურ საგანძობს შეეფერება და ეკადრება!

**იკა ქაღაბიძე,**  
 ყურნალისტი

# ანსამბლი „ერქვანი“



ჩვენდა საბედნიეროდ, ქართულ ფოლკლორულ სამყაროს არა ერთი გამორჩეულად ნიჭიერი ხელოვანი ჰყავს, რომლებმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სცენას და საბავშვო ფოლკლორულ ანსამბლებთან მუშაობას დაუთმეს. სწორედ მათი დამსახურებაა ის ფაქტი, რომ მიუხედავად ჩვენი საუკუნის გამოწვევებისა, რომელიც ნელ-ნელა

სწალობდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში საგუნდო-სადირიჟორო განხრით, შემდეგ სწავლა გააგრძელა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ამავე ფაკულტეტზე. სწავლის პარალელურად მღეროდა სახელმწიფო-საგუნდო კაპელაში. 1991-2000 წლებში მღეროდა სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავში“. ამავე წლებში მუშაობდა თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლეში სიმღერის პედაგოგად და ლოტბარად. 5 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საგარეჯოს ქალთა ანსამბლ „ჩინარს“, 1993-1999 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო კულტურის ინსტიტუტში ლექტორად, კითხულობდა სიმღერას ბატონ ანზორ ერქომაიშვილის სახელოსნოში.

კახაბერ შაქიშვილმა ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „ერქვანი“ დააარსა 2001 წელს, ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლეში არსებული მუსიკალური სკოლის ბაზაზე, სადაც მომღერალთა ასაკი ექვსიდან თვრამეტ წლამდეა. ოცდასამწლიანი მოღვაწეობის მანძილზე, „ერქვანმა“ არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ანსამბლი გახლავთ მრავალი ეროვნული თუ საერთაშორისო ფესტივალის, ასევე, პროფკავშირების პრემიის ლაურეატი, სახელმწიფო დიპლომის „V ვეგა“-სა და საერთაშორისო ფესტივალების გრან პრის ხუთგზის მფლობელი.

„ერქვანი“ ხალხური სიმღერების გარდა, შესანიშნავად ასრულებს სხვადასხვა კუთხისა და კილოს საგალობლებს.


გამორჩეულად აღსანიშნავია ანსამბლის თანამშრომლობა საქართველოს საპატრიარქოსა და წმინდა სამების საკათედრო ტაძართან. ყოველწლიურად, ქრისტეშობისა და აღდგომის დღესასწაულებზე, ანსამბლი „ერქვანი“, სხვა ცნობილ ანსამბლებთან ერთად, სამების დიდ საკათედრო ტაძარში გალობს. 2009 წელს, საქართველოს საპატრიარქომ „ერქვანს“ დამსახურებულად მიანიჭა ქართული კულტურის დეკანის საპატიო ნიშანი.

დღეისათვის, ანსამბლში უკვე მეექვსე თაობის მომღერლები მღერიან და მდიდარ კუთხურ და ჟანრობრივად მრავალფეროვან რეპერტუარსაც ასრულებენ. „ერქვანის“ ოთხი აუდიო-ვიდეო დისკი გამოიცა. მეოთხე ალბომი მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარე-

ლის ილია მეორის აღსაყდრების 40 წლის იუბილეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ, ანსამბლის საგასტროლო ტურნეებიც – 2013 წლის 21-26 აგვისტოს, საფრანგეთში, პარიზში გამართულ მესამე საერთაშორისო ფესტივალზე, ანსამბლი „ერქვანი“ დაჯილდოვდა მთავარი პრიზით – „ოქროს დიპლომით“; 2014 წლის 11-17 ნოემბერს, „ერქვანი“ იმყოფებოდა ლიტვაში, ქალაქ ვილნიუსში, სადაც, სპივაკოვის საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერით, ჩატარდა მეცხრე საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი „პოკროვის ზარები“. ანსამბლი ლაურეატის წოდებითა და დიდი წარმატებით დაბრუნდა სამშობლოში. 2015 წელს, თბილისში გამართულ საბავშვო და ახალგაზრდული გუნდების პირველ ეროვნულ კონკურსზე, „ერქვანი“ ორი ოქროს მედლის მფლობელი გახდა ხალხურ სიმღერასა და ტრადიციულ გალობაში.

2016 წელს დაარსების თხუთმეტი წლის იუბილე აღსანიშნავი კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში აღნიშნა, სადაც, შესრულდა, როგორც ხალხური და ქალაქური სიმღერები, ასევე – ტრადიციული ქართული საგალობლები და ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები; ამავე წელს, საქართველოში ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალი „ფესტივა-



კვლავ ორი ოქროს მედლის მფლობელი გახდა ხალხურ სიმღერასა და ტრადიციულ ქართულ გალობაში. ანსამბლს განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად 2018 წელს ლიტვაში გამართულ საშობაო ფესტივალზე, სადაც ვილნიუსის საკათედრო ტაძარში „ერქვანის“ საშობაო სოლო კონცერტი გაიმართა.


ანსამბლის შემოქმედებით ცხოვრებაში გამორჩეული იყო 2023 წელი – ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გაიმართა საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი, რომლის ორგანიზატორი გახ-



გვაშორებს წინაპართა მიერ დატოვებულ კულტურულ მემკვიდრეობას და ფესვებს, მოზარდი თაობა მაინც არ კარგავს ეროვნული ფოლკლორული ხელოვნების პატივისცემასა და სიყვარულს. ასეთი წარმატებული ადამიანების რიგში დგას ცნობილი ლოტბარი, პედაგოგი და მომღერალი ბატონი კახაბერ შაქიშვილი. გაზეთ „ქართული ფოლკლორის“ სარედაქციო კოლეგია დაინტერესდა ბატონი კახაბერისა და მისი შესანიშნავი ანსამბლის შემოქმედებით და გადაწყვიტეთ ჩვენი მკითხველისთვის მოგვეთხრო მათი საქმიანობის შესახებ.

ცნობილი ლოტბარი და მომღერალი კახაბერ შაქიშვილი ქართული ფოლკლორული ხელოვნების სიყვარულს ჯერ კიდევ ბავშვობაში, ბიჭუნათა ანსამბლ „მართვეში“ ეზიარა სახელოვანი ლოტბარის ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა მის პროფესიონალ ლოტბარად და მომღერლად ჩამოყალიბებაში.

ბატონი კახაბერი, 1986-1990 წლებში



ლონია მილენიუმი“, სადაც „ერქვანი“ პირველი საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა.

2017 წელს, საგუნდო საზოგადოების, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და თბილისის მერიის მიერ გამართულ მესამე ეროვნულ კონკურსზე, „ერქვანი“

ღდათ აჭარის კულტურისა და ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის კავშირი. ტურისტული სააგენტოს „გოლდენ გრუფ თრეველის“ მიერ ანსამბლის ხელმძღვანელი, ლოტბარი კახაბერ შაქიშვილი, ქართული ფოლკლორის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის განეული ღვაწლისთვის, სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა, მედლები და დიპლომები გადაეცა ანსამბლის ყველა წევრს.

2023 წლის დეკემბერში, საქართველოს წარმატებული ადამიანების დაჯილდოების ცერემონიაზე, ანსამბლი „ერქვანი“ და ბატონი კახაბერი, ქართული კულტურისა და ქართული ხალხური სიმღერის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდნენ ტიტულით „პერსონა 2023“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანსამბლი „ერქვანი“ აღზრდილთა უკვე მეექვსე თაობას მიითვლის და ბატონი კახაბერის ხელმძღვანელობით დღემდე წარმატებით იღვწის ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის. გაზეთ „ქართული ფოლკლორის“ სარედაქციო კოლეგია უსურვებს მათ ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს, კვლავაც ღირსეულად და ჩვეული შემართებით ეტარებინოთ მონივნებათა სახელი ქართულ ფოლკლორულ ანსამბლებს შორის.



# ფოთიელი ხელოვანები



ქართულ ფოლკლორულ ხელოვნებაში, უკანასკნელი 3-4 ათეული წლის მანძილზე, არაერთი ღირსეული პედაგოგი, ლოტბარი და მომღერალი მოღვაწეობდა და მოღვაწეობს, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ ფოლკლორში და აღზარდეს ნიჭიერ შემსრულებელთა თაობები. განსაკუთრებულად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოზარდებთან აქტიურ შემოქმედებით და სააღმზრდელო მუშაობას ეწევიან ხელოვანთა უმცროსი თაობის წარმომადგენლები, რომლებსაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვთ ქართული ფოლკლორული ხელოვნების განვითარების საქმეში.

სწორედ ასეთი ღირსეულობითა და მაღალი პიროვნული თვისებებით შემკულ ხელოვანთა რიცხვს განეკუთვნებიან ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრში მოღვაწე და ამავე ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლების ხელმძღვანელები. გაზეთ „ქართული ფოლკლორის“ სარედაქციო კოლეგია დაინტერესდა მათი შემოქმედებით და სიაზოვნებით დაუთმეთ ჩვენი გაზეთის ფურცლები.

მოკლედ, თვალის ერთი გადავლებით ჩახედვით მათ შემოქმედებით ბიოგრაფიებს.

ქალბატონი ლამზირა კუპრეიშვილი (ჯოჯუა) ფოთელ ხელოვანთა ღირსეული ოჯახის წევრი და ქართული ფოლკლორული სფეროს დიდი მოამბეა. იგი, ოთხ ათეულ წელზე მეტია, წარმატებით მოღვაწეობს ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ფოთის ქალთა ტრიო „ფაზისს“ და საქალაქო კულტურის სახლთან არსებულ თოჯინების სახალხო თეატრს. ქალბატონი ლამზირა, დღესდღეობით, ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის მუსიკალური ფანრის სპეციალისტი გახლავთ. როგორც თვითონ აღნიშნავს, ცენტრში ჰყავს უნიჭიერესი ბავშვებით დაკომპლექტებული ფოლკლორული კოლექტივები და საესტრადო სიმღერების ჯგუფები – ბენდი „გრიფი“ და „L სტუდიო“. წლების განმავლობაში, ქალბატონმა ლამზირამ და მისი ხელმძღვანელობით მოქმედმა ანსამბლებმა, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებსა თუ ფესტივალ-კონკურსებზე, დამსახურებულად მოიპოვეს პირველი

ხარისხის დიპლომები, პრიზები და ლაურეატის წოდებები. როგორც კოლეგები აღნიშნავენ, ქალბატონი ლამზირა განსაკუთრებით შესანიშნავი ქართული ოჯახის დიასახლისი, დედა, ბებია, გამორჩეული მეგობარი და კოლეგა, რომელსაც ღირსეულად შეაქვს თავისი დიდი წვლილი, ქალაქ ფოთის კულტურულ ცხოვრებაში.


იოანე ჯიბლაძე – ახალგაზრდა ფოთელი ხელოვანი, რომლის შემოქმედებითი ცხოვრება მთლიანად უკავშირდება ქართულ ხალხურ სიმღერას, საკრავებსა და ტრადიციულ ქართულ საგალობლებს. ცალკე აღსანიშნავია მისი, როგორც ჩინებული პედაგოგის, ასევე, მოზარდი თაობის როგორც შემოქმედებითად, ასევე, სულიერად აღმზრდელის როლი და ის დიდი ავტორიტეტი, რითაც დამსახურებულად სარგებლობს კოლეგებსა და აღსაზრდელებს შორის.

იოანემ, ფოთის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის ხელოვნების სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (სპეციალობა – გუნდის დირიჟორი), სწავლა განაგრძო ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტში (2005-2007 წ.წ.) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სპეციალობაზე. სტუდენტობის პერიოდშივე, მორწმუნე მართლმადიდებელი ახალგაზრდა, ქაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძარში



გალობდა. შემოქმედებითად მართლაც დატვირთული ცხოვრება აქვს ბატონ იოანეს. 2009 წლიდან მუშაობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის სამუსიკო სკოლაში არსებულ ხალხურ საკრავთა შემსწავლელი წრის პედაგოგად. ამავე დროს იყო სოფელ წყალწმინდის წმ. ირინეს სახელობის ტაძრის რეგენტი; 2013 წლიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დანესტრულებათა გაერთიანებასთან არსებულ მუსიკალურ ფოლკ-ბენდ „გურიას“ მუსიკოსია; ასევე მუშაობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრთან არსებულ სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ჩელას“ მუსიკოსად, ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრთან არსებულ ხალხურ საკრავთა შემსწავლელი წრის პედაგოგად და ჯგუფ „ერთობას“ ხელმძღვანელად.

ბატონი იოანეს ხელმძღვანელობით, ხალხურ საკრავთა ჯგუფმა „ერთობამ“ უკვე მიაღწია წარმატებებს: მონაწილეობდნენ ხელოვნების მეოთხე ქართულ ფესტივალში – „ხელოვანი კოლხი ერი“, სადაც პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება მოიპოვეს, რესპუბ-



ლიკურ ფესტივალ-კონკურსში „გაზაფხული ბათუმში“ დაჯილდოვდნენ გრან პრით; კონკურს-ფესტივალზე „მომავლის ვარსკვლავები“ მიენიჭათ საუკეთესო კოლექტივის წოდება. 2023 წლის დეკემბერში, ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზე-

სწავლებელში (საგუნდო-სადირიჟორო და ხალხურ საკრავთა სპეციალობებზე). სწავლის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა წლებში მუშაობდა ბათუმის კულტურა-განმანათლებლო სასწავლებელში ხალხური საკრავების პედაგოგად; ლანჩხუთის რაიონის სოფელ ღრმალელებში – სიმღერის გუნდის ხელმძღვანელად; აბაშის სახალხო ანსამბლ „ჰარიონას“ ლოტბარად, სენაკის სახელმწიფო ანსამბლის ლოტბარად. მაგრამ, განსაკუთრებულად აღსანიშნავია მისი ღვაწლი ფოთის კულტურულ ცხოვრებაში. სხვადასხვა წლებში, ბატონი იროდი გახლდათ ფოთის საქალაქო კულტურის სახლის ლოტბარი და შემდეგ – დირექტორი; ფოთის ფოლკლორის ცენტრის დირექტორი; 2007 წლიდან დღემდე გახლავთ ამავე ცენტრის მთავარი სპეციალისტი (ლოტბარი). ბატონმა იროდემ, თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე არაერთი ფოლკლორული ანსამბლი შექმნა: „ფაზისი“, „ნორჩი ფაზისელები“, „ფოთი“, ბიჭუნათა ანსამბლი „კოლხი ბიჭები“, გოგონათა ანსამბლი „მახარია“.

ბატონი იროდის ხელმძღვანელობით დაარსებულმა ქალთა ტრიო „ფაზისმა“ მალევე გაითქვა სახელი. დაარსებიდან ერთ წელში, მათი დებიუტი შედგა საქართველოს ტელევიზიით.

წლების განმავლობაში, იროდი ტიკარაძე ხელმძღვანელობდა ფოთის ფოლკლორის ცენტრში არსებულ თოჯინების სახალხო თეატრს, დგამდა და აფორმებდა სპექტაკლებს მუსიკალურად. სწორედ ბატონი იროდის ხელმძღვანელობის დროს, თეატრს მიენიჭა სახალხო თეატრის წოდება.

დიდა ბატონი იროდის დამსახურება ქართული ფოლკლორული ხელოვნების განვითარებისა და ფოთის კულტურული ცხოვრების წინსვლის საქმეში.

2015 წელს გაიხსნა სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ფაზისის“ ვარსკვლავი (ანსამბლის დამაარსებელი და ლოტბარი – იროდი ტიკარაძე). ბატონ იროდის, 2016 წელს, კულტურის სამინისტრომ „ხელოვნების ქურუმის“ წოდება მიანიჭა, ამავე წელს მიენიჭა საგუნდო მუსიკის ამაგდარის საპატიო წოდებაც.

2017 წელს, იროდი ტიკარაძეს, ფოთის

ბულ ფოლკლორის საერთაშორისო, საბავშვო და ახალგაზრდულ ფესტივალზე „მომავალი ჩვენია“, ანსამბლი „ერთობა“ დაჯილდოვდა ლაურეატის დიპლომით, ხოლო იოანე ჯიბლაძეს მიენიჭა წლის საუკეთესო ხელოვანის ტიტული და არჩეულ იქნა ეროვნული ცენტრის საპატიო



წევრად. ანსამბლი „ერთობა“ ასევე აქტიურად მონაწილეობს მშობლიურ ქალაქში გამართულ ღონისძიებებში.

ქალაქ ფოთის კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში უკვე ათეული წლებია, თავისი უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ღირსების ორდენის კავალერს, საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს, ფოთის საპატიო მოქალაქეს, ბატონ იროდი ტიკარაძეს. მრავალფეროვანი, შემოქმედებითად დატვირთული და ნაყოფიერი ცხოვრების გზა განვლო ბატონმა იროდემ. სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის მხატვრული თვითმომქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სა-

ცენტრალური პარკის შესასვლელთან დამსახურებულად გაუხსნეს სახელობითი ვარსკვლავი. ასევე დაიბეჭდა და საიუბილეოდ გამოიცა წიგნი – „იროდი ტიკარაძე ქართული სიმღერის მოამბე“.

P.S. გაზეთი „ქართული ფოლკლორი“ მადლობას უხდის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრის დირექტორს, ბატონ ზაზა ლაღუას და მთელ შემოქმედებით კოლექტივს თანადგომისთვის.

დაე, კვლავაც ღირსეულად ეტარებინოთ ქართული ფოლკლორის მოამბეობა სახელი.

მანანა უშიკიშვილი



# საქართველოს წარმომადგენელთა ხელმოწერის ხელშეწყობის სერია „ხელოვნები 2024“



რეგრაფიული მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორ-ემერიტუსი;

**ყაზბეგ ბანეთიშვილი** - საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული მიმართულების ასოცირებული პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი;

**ზაურ პაპიაშვილი** - „სუხიშვილების“ ლეგენდარული ანსამბლის ყოფილი ბრწყინვალე მოცეკვავე-სოლისტი, ანსამბლ „მამულის“ სამხატვრო ხელმძღვანელი;

**თამაზ ათანელი** - საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, „სუხიშვილების“ ლეგენდარული ანსამბლის ყოფილი მოცეკვავე-სოლისტი;

**გიორგი გაგნიძე** - მსოფლიო საოპერო ბარიტონი.

დაჯილდოების ცერემონიაზე მობრძანდა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს შემოქმედებითი პროცესის ხელმძღვანელის დეპარტამენტის უფროსი, ქალბატონი თამარ წულუკიძე. ქალბატონი თამარი გულითადად მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ცერემონიალის ორგანიზატორებსა და წარმატებულ ქალბატონებს, საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის, ქალბატონი თეა წულუკიანის სახელით მიულოცა ქალთა საერთაშორისო დღე და უსურვა მათ შემდგომი წარმატებები შემოქმედებით საქმიანობაში. ასევე, მიესალმა ცერემონიალის შემოქმედებითი ჯგუფის ინიციატივას დაჯილდოების ცერემონიალის ყოველწლიურად ჩატარების თაობაზე და სამომავლოდ მხარდაჭერაც აღუთქვა. ქალბატონი თამარი მიესალმა და კულტურისა და სპორტის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს ღონისძიებისა და ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერისთვის სცენიდან მაღლობა გადაუხადა „სუხიშვილების“ ლეგენდარული ანსამბლის ოქროს თაობის მოცეკვავემ, მწერალმა, მსახიობმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა გივი სიხარულიძემ.

დამსწრე საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია ცერემონიალის საკონცერტო ნაწილმა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული საცეკვაო ხელოვნების თამარ მეფის ორდენზე წარდგენილი ქალბატონების შესანიშნავი ანსამბლები.

დასასრულს, გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. ქართული სახელოვნებო სფეროს განვითარება-პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისა და ხანგრძლივი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, ქართული საცეკვაო ხელოვნების თამარ მეფის ორდენებით დაჯილდოვდნენ:

**იზოლდა მსხილაძე** - ბათუმის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მეზღვარის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, დამსახურებული ქორეოგრაფ-პედაგოგი;

**ქეთევან მონასელიძე** - კასპის დავით ჯავრიშვილისა და რევაზ ჭოხონელიძის სახელობის სახალხო ვარსკვლავოსანი ცეკვის აკადემია „დიდგორის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, ქართული ქორეოგრაფიის ბრწყინვალეებისა და ამაგდარის ორდენების კავალერი, დამსახურებული ქორეოგრაფ-პედაგოგი;

**ნონა გურგენიძე** - თბილისის სანიმუშო საბავშვო სახალხო ანსამბლ „სალხინოს“ ხელმძღვანელი, ქართული კულტურის ამაგდარი, დამსახურებული ქორეოგრაფ-პედაგოგი;

**ნანა (ლონდა) უგულავა** - თბილისის მერიის ილიკო სუხიშვილის სახელობის სკოლა-სტუდიასთან არსებულ სახალხო ანსამბლ „ფრესკასა“ და ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ლაშა-გიორგის“ ქორეოგრაფი, თბილისის მერიის ილიკო სუხიშვილის სახელობის სკოლა-სტუდიის პედაგოგი, ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარი, დამსახურებული ქორეოგრაფ-პედაგოგი;

**თამარ მელიქიშვილი** - თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ლომისის“ დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ლატა-

ვრა ფოჩიანის სახელობის პრემიის ლაურეატი, ქართული ქორეოგრაფიის ბრწყინვალეებისა და ამაგდარის ორდენების კავალერი;

**ბიანა დარასელია** - ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის აფხაზური ცეკვის პედაგოგი, აფხაზეთის დამსახურებული არტისტი, საქართველოს დამსახურებული მსახიობ-მოცეკვავე;

**მარინა ფხაკაძე** - ფოთის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „არგონავტების“ სამხატვრო ხელმძღვანელი, დამსახურებული ქორეოგრაფ-პედაგოგი, ქართული ქორეოგრაფიის ბრწყინვალეებისა და ამაგდარის ორდენების კავალერი;

**ნინო ყვინიშვილი** - ბორჯომის ომარ მხეიძის სახელობის სანიმუშო საბავშვო სახალხო ანსამბლ „მერმისის“ ხელმძღვანელი, ქართული ქორეოგრაფიის ბრწყინვალეებისა და ამაგდარის ორდენების კავალერი;

**ნონა თედიაშვილი** - ხაშურის დამსახურებული, სანიმუშო სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ოქროს ფარის“ ქორეოგრაფი და კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორი, დამსახურებული ქორეოგრაფ-პედაგოგი, ქართული კულტურის დესპანის საპატიო წოდების მფლობელი;

**ნინო იმერლიშვილი** - მცხეთის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის კულტურის ცენტრის სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „როკვას“ ხელმძღვანელი, ქართული ქორეოგრაფიის ბრწყინვალეებისა და ამაგდარის ორდენების კავალერი;

**ეკატერინე გოგიტიძე** - თბილისის სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ლამპარის“ ხელმძღვანელი, ქართული ქორეოგრაფიის ბრწყინვალეებისა და ამაგდარის ორდენების კავალერი;

**ნონა ფულაძე** - თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მამულიშვილის“ ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი; ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოებულია საპატიო სიგელებითა და მედლებით.

**ბათუნა ტაბუცაძე** - საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული მიმართულების ქართული ცეკვის პედაგოგი, ამავე უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის სამსახიობო მიმართულების ქართული ცეკვის პედაგოგი, ცეკვის აკადემია „სუხიშვილების“ პედაგოგ-ქორეოგრაფი, სამგორის რაიონის მონაწილე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულ ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „სამგორის“ დამდგმელი ქორეოგრაფი.

**მარი ჟღენტი** - სანიმუშო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლების „დიდგორის“, „ჯაბადარისა“ და „ფერხულის“ ხელმძღვანელი, ქართული ქორეოგრაფიის ბრწყინვალეებისა და ამაგდარის ორდენების კავალერი, დამსახურებული ქორეოგრაფ-პედაგოგი.

**თეონა მაჭარაშვილი** - ლაგოდეხის ამირან არჩვაძის სახელობის სანიმუშო სახალხო ანსამბლ „ლაკვასტის“ ხელმძღვანელი, ქართული კულტურის ამაგდარის ორდენის კავალერი, ქართული კულტურის სახალხო მოღვაწე.

დაჯილდოების ცერემონიაზე, მრავალჯამიერის ფონზე, ამაღლებულ და საოცრად ლამაზ ვითარებაში ჩაიარა. ეს იყო სიკეთისა და მადლიერების დღესასწაული, სცენაზე მდგარი ხელოვანი ქალბატონების ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის გვირგვინი, უაღრესად დიდი პატივი და ძალზედ საპასუხისმგებლო, იმედისა და სტიმულის მომცემი ჯილდო.

P.S. ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაცია მადლობას უხდის „თბილისი არტ-პოლის“ დირექტორს, ქალბატონ ნანა გოდერძიშვილს და მთელ პერსონალს, ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარების ხელმძღვანელობისათვის, განუვლი დიდი შრომისა და პასუხისმგებლობისთვის.



**ქართული ფოტოლორი**  
ISSN 2960-9364  
9 772960 936002  
მის: თბილისი, ცოტნე ლადიანის №26  
ტელ.: 593 79 49 30  
ქართული ფოტოლორი;  
E-mail: nccg2023@gmail.com

**სარედაქციო კოლეგია:**  
რეზო ბალანჩივაძე  
რეზო ჭანიშვილი,  
ურა დვალისხილი,  
ზაზა მჭავანაძე,  
ერეკლე საღლიანი,  
ეთერ თათარაიძე,  
ამირან არაბული  
ეკატერინე გელიაშვილი

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

რედაქტორი:  
**მანანა უშიკიშვილი**  
გამომცემელი:  
ქართული ქორეოგრაფიის  
ეროვნული ცენტრი  
დაიბეჭდა:  
„პრინტ-ფაბრიკის“ სტამბაში

# „დიდი წარმატება სწორი არჩევანით იწყება“



საქართველოს არამატერიალური კულტურა წინარეპრესტიჟულ ეპოქაში იღებს სათავეს და დღემდე პირველქმნილი სახითაა მოღწეული. მსოფლიო კულტურის საგანძურის მშვენიერება - მრავალხმიანი ქართული სიმღერა და ავთენტურობით გამოირჩეული ქორეოგრაფია კდემამოსილების, ღირსების, ვაჟკაცობის, გაუტყენლობის, გონიერების, ინდივიდუალობის

საგალობელია, მრავალჭირვარამგადატანილი საქართველოს ისტორიაა, ჟინი და სწრაფვა სიკეთისა და თავისუფლებისაკენ. ქართული ცეკვის ცეცხლოვან ტემპერამენტსა და ღრმამინაარსიან ფილოსოფიურ პლასტიკას აღფრთოვანებაში მოჰყავს მსოფლიო. იგი გარკვეულწილად მშვიდობის დესპანია. დღევანდელი გლობალიზაციის ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული კულტურული ფასეულობების შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია, ლობარობა და ქორეოგრაფთა გადამზადება, ახალი თაობების აღზრდა. ამდენად, მნიშვნელოვანია მისი მეცნიერული შესწავლა და გაანალიზება, რასაც ემსახურება ქორეოგრაფთა ფორუმი, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა. დარწმუნებული ვარ, იგი დიდ წვლილს შეიტანს ქართული კულტურული ფასეულობების წარმოჩენისა და მოვლავატრონობის საპასუხისმგებლო და კეთილშობილურ საქმეში.

**მურმან გამისონია**  
ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი

## ავტორიზებული ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტი

ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის მთავარ მისიას ქორეოგრაფთა ახალი თაობის აღზრდა, ფოლკლორული ხელოვნებისა და ტრადიციების შენარჩუნებისა და მომავალი თაობებისთვის გადაცემის ხელშეწყობა, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყანაში ორგანიზებული ფოლკლორული საერთაშორისო ფესტივალების პოპულარიზაცია და მათში სხვადასხვა ჯგუფის, ანსამბლის და ქორეოგრაფთა ინდივიდუალური მონაწილეობა.

ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტი 5 წელია რაც დაარსდა, თუმცა, მაღალპროფესიონალი და დიდი გამოცდილების მქონე კადრების მეშვეობით, მალევე მოახერხა, თავის წვლილი შეეტანა ქართული ფოლკლორის კვლევასა და განვითარებაში. ინსტიტუტი სამი საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალის ერთ-ერთი დამფუძნებელია, რომლებსაც ყოველწლიურად 1000-ზე მეტი ხელოვანი სტუმრობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ინსტიტუტში ყოველწლიურად 50 ქორეოგრაფი იმალეებს კვალიფიკაციას უწყვეტი ერთწლიანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში. კულტურის ინსტიტუტს აქტიური მხარდაჭერა აქვს ისეთი ავტორიტეტული და მაღალი რანგის საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, როგორცაა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; UNESCO-ს ცეკვის საერთაშორისო საბჭო (CID); საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემია; ეროვნული ქორეოგრაფიის ცენტრის „NCC GE ART“; ხელოვნებისა და კულტურის განვითარების კავშირი „არტ-ფოლიკი“; ინკლუზიური ცეკვის განვითარების ცენტრი. (EAF) წარმოადგენს ჩვენი ორგანიზაციის პარტნიორ ორგანიზაციას პროექტის განხორციელების პროცესში, ხოლო CID სრულად უჭერს მხარს პროექტის განხორციელების იდეას.

### ჩვენი სასწავლო პროგრამის უპირატესობები:

ა) ჩვენს ინსტიტუტში სწავლების გამოირჩეული მეთოდებია. სტუდენტი იღებს კომპლექსურ განათლებას, თეორიული და პრაქტიკული სასწავლო მიმდინარეობების კოორდინაციითა და შერწყმით. პრაქტიკული კურსის - ქართული ცეკვა, მსოფლიო ხალხთა ცეკვები, კლასიკური ცეკვა, აფხაზური ცეკვა, სამეჯლისო ცეკვა, პარალელურად სტუდენტები სწავლობენ თეორიულ კურსს: სადადგმო ხელოვნება; ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუშები, ანალიზი-ადგენა; ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორია და სამომავლო პერსპექტივები; მუსიკის თეორიის საფუძვლები. საგანთა ამგვარი შერწყმამა მომავალ ქორეოგრაფს საშუალებას აძლევს, იცოდეს როგორც ცეკვის სხვადასხვა სახეობის დადგმა, ისე მუსიკისა და კომპოზიციების შერწყმა და შეკვრა;

ბ) ჩვენ, სტუდენტებს ძირითადად ვამზადებთ შიდა პროდუქტისა და შიდა ბაზრისათვის, თუმცა ვითვალისწინებთ რა, რომ მათ ურთიერთობა ექნებათ სხვა ეთნოსისა და კულტურის წარმომადგენლებთან, ვასწავლით ინგლისურ ენას, რათა მათ გაუადვილდეთ ვერბალური ურთიერთობა სხვა ეროვნების კოლეგებთან;

გ) გამომდინარე იქიდან, რომ მათ მომავალში მოუწევთ ბავშვებთან მუშაობა, ინსტიტუტში ისწავლება საგანი - პედაგოგიკის საფუძვლები და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგია;

დ) სწორად მეტყველება საუკეთესო სპეციფიკური ბარათია ვერბალური ურთიერთობისას, დოკუმენტაციის სწორად შედგენა მნიშვნელოვანია, ამიტომ სტუდენტები გადიან თეორიულ კურსს - წერისა და მეტყველების კულტურა;

ე) ინსტიტუტის დირექციამ გაითვალისწინა, რომ ჩვენს კურსდამთავრებულებს მომავალში მოუწევთ, დამოუკიდებლად მართონ თავიანთი საქმე, ამიტომ დაემატეთ სასწავლო მიმდინარეობები: მენეჯმენტის საფუძვლები, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, გამოიმუშაონ მენეჯერული უნარ-ჩვევები.

### გარემო

ინსტიტუტი ფუნქციონირებს „თბილისი არტ-ჰოლის“ შენობაში, გარემო კეთილმოწყობილია, აღჭურვილია გათბობისა და გაგრილების სისტემით, აუდიტორიები არის ნათელი და ფართო, ფუნქციონირებს მედია და რეალური ბიბლიოთეკა პროფესიული და მხატვრული ნივთების ფართო არჩევანით, აუდიტორიები აღჭურვილია კომპიუტერებით, ხელმისაწვდომია ინტერნეტი და ვაიფაი; სტუდენტთა და ლექტორთა განკარგულებაშია პროექტორი, ეკრანი, ხმის გამაძლიერებელი ტექნიკა, ტელევიზორები; პრაქტიკული მეცადინეობებისათვის სტუდენტების განკარგულებაშია ორი სავარჯიშო დარბაზი გასახდლებითა და საშხაპეებით. ინსტიტუტს აქვს შიდა მათემატიკის არხი „არტ სტუდიო“, საიტი [www.artfolk.ge](http://www.artfolk.ge), [www.qor.org.ge](http://www.qor.org.ge) ფეისბუქ გვერდი „კულტურის ინსტიტუტი“; გლობალური პანდემიის განმეორების შემთხვევაში ინსტიტუტს შემუშავებული აქვს ონლაინ სწავლების ტექნიკა.

### უსაფრთხოება

ინსტიტუტს იცავს „არტ-ჰოლის“ შიდა უსაფრთხოების სამსახური, შენობა აღჭურვილია კამერებით.

### ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეჟისორი მოკლე აღწერა



- სწავლის ხანგრძლივობა: 34 კვირა - 850 საათი;
- დაშვების წინაპირობა: განათლება - საშუალო;
- მისაღები ადგილების რაოდენობა - 30
- დაწყების თარიღი: წლის განმავლობაში
- დასრულების თარიღი: წლის განმავლობაში
- ისწავლეთ სახელმწიფოს სრული დაფინანსებით ან თვითდაფინანსებით - 1700 ლარი;
- განცხადების განხილვის საფასური შეადგენს 50 ლარს
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე 4-5
- დასაქმების სფერო: მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
- აპლიკანტთა რეგისტრაცია: რეგისტრაციისთვის მიმართეთ ბმულს: [www.vet.emis.ge](http://www.vet.emis.ge), [www.artfolk.ge](http://www.artfolk.ge), [www.qor.org.ge](http://www.qor.org.ge)

### ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი მოკლე აღწერა



- სწავლის ხანგრძლივობა: 24 კვირა - 530 საათი;
- დაშვების წინაპირობა: განათლება - საშუალო;
- მისაღები ადგილების რაოდენობა - 20
- დაწყების თარიღი: წლის განმავლობაში
- დასრულების თარიღი: წლის განმავლობაში
- ისწავლეთ სახელმწიფოს სრული დაფინანსებით ან თვითდაფინანსებით - 1700 ლარი;
- განცხადების განხილვის საფასური შეადგენს 50 ლარს
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე 3
- დასაქმების სფერო: მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
- აპლიკანტთა რეგისტრაცია: რეგისტრაციისთვის მიმართეთ ბმულს: [www.vet.emis.ge](http://www.vet.emis.ge), [www.artfolk.ge](http://www.artfolk.ge), [www.qor.org.ge](http://www.qor.org.ge)

### ქართული ხალხური სიმღერის რეჟისორი მოკლე აღწერა



- სწავლის ხანგრძლივობა: 16 კვირა - 428 საათი;
- დაშვების წინაპირობა: განათლება - საშუალო;
- მისაღები ადგილების რაოდენობა - 20
- დაწყების თარიღი: წლის განმავლობაში
- დასრულების თარიღი: წლის განმავლობაში
- ისწავლეთ სახელმწიფოს სრული დაფინანსებით ან თვითდაფინანსებით - 1000 ლარი;
- განცხადების განხილვის საფასური შეადგენს 50 ლარს
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე 4
- დასაქმების სფერო: მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
- აპლიკანტთა რეგისტრაცია: რეგისტრაციისთვის მიმართეთ ბმულს: [www.vet.emis.ge](http://www.vet.emis.ge), [www.artfolk.ge](http://www.artfolk.ge), [www.qor.org.ge](http://www.qor.org.ge)

### ბიბლიოთეკარი მოკლე აღწერა



- სწავლის ხანგრძლივობა: 16 კვირა - 428 საათი;
- დაშვების წინაპირობა: განათლება - საშუალო;
- მისაღები ადგილების რაოდენობა - 20
- დაწყების თარიღი: წლის განმავლობაში
- დასრულების თარიღი: წლის განმავლობაში
- ისწავლეთ სახელმწიფოს სრული დაფინანსებით ან თვითდაფინანსებით - 1000 ლარი;
- განცხადების განხილვის საფასური შეადგენს 50 ლარს
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე 4
- დასაქმების სფერო: მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
- აპლიკანტთა რეგისტრაცია: რეგისტრაციისთვის მიმართეთ ბმულს: [www.vet.emis.ge](http://www.vet.emis.ge), [www.artfolk.ge](http://www.artfolk.ge), [www.qor.org.ge](http://www.qor.org.ge)

### სამაჯლისო-სპორტული ცეკვა-პირის ქორეოგრაფი/მწვრთნელი მოკლე აღწერა



- სწავლის ხანგრძლივობა: 30 კვირა - 689 საათი;
- დაშვების წინაპირობა: განათლება - საშუალო;
- მისაღები ადგილების რაოდენობა - 20
- დაწყების თარიღი: წლის განმავლობაში
- დასრულების თარიღი: წლის განმავლობაში
- ისწავლეთ სახელმწიფოს სრული დაფინანსებით ან თვითდაფინანსებით - 1700 ლარი;
- განცხადების განხილვის საფასური შეადგენს 50 ლარს
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე 5
- დასაქმების სფერო: მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
- აპლიკანტთა რეგისტრაცია: რეგისტრაციისთვის მიმართეთ ბმულს [www.vet.emis.ge](http://www.vet.emis.ge), [www.artfolk.ge](http://www.artfolk.ge), [www.qor.org.ge](http://www.qor.org.ge)

### ლონისკიპის ორგანიზატორი მოკლე აღწერა



- სწავლის ხანგრძლივობა: 14 კვირა - 385 საათი;
- დაშვების წინაპირობა: განათლება - საშუალო;
- მისაღები ადგილების რაოდენობა - 12
- დაწყების თარიღი: წლის განმავლობაში
- დასრულების თარიღი: წლის განმავლობაში
- ისწავლეთ სახელმწიფოს სრული დაფინანსებით ან თვითდაფინანსებით - 1000 ლარი;
- განცხადების განხილვის საფასური შეადგენს 50 ლარს,
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე 4
- დასაქმების სფერო: მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
- აპლიკანტთა რეგისტრაცია: რეგისტრაციისთვის მიმართეთ ბმულს: [www.vet.emis.ge](http://www.vet.emis.ge), [www.artfolk.ge](http://www.artfolk.ge), [www.qor.org.ge](http://www.qor.org.ge)

შემოქმედებითი ტურის მოთხოვნები:

- ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორი
  - ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი
  - სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ქორეოგრაფ-მწვრთნელი.
- I ტური - გასაუბრება - ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე (ზეპირი ფორმით) მოხდება სასკოლო პროგრამაში არსებულ მასალაზე დაყრდნობით. შემონმდება მსმენელის ზოგადი ცოდნა ქართული და მსოფლიო ქორეოგრაფიის, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა დარგების მიმართულებით.

II ტური - ტარდება რამდენიმე ფორმით:

- პროგრამაზე შემოქმედებითი ტურის გავლის გარეშე დაიშვებიან ქორეოგრაფიული ანსამბლების სტაჟიორები, მოქმედი მსახიობ-მოცეკვავეები, სკოლებისა და სტუდენტების ქორეოგრაფები - მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში;
- მუშაობის გამოცდილება მინიმუმ 6 თვე;
- შესარჩევ ტურზე მონაწილე მსმენელის ფიზიკური კონდიციები, მუსიკალური სმენა, რიტმის შეგრძნება, პლასტიკა.
- ქართული ცეკვის ინდივიდუალური შესრულება - მსმენელმა უნდა შეასრულოს სავალდებულო ქართული ცეკვა და სხვადასხვა ქართული კუთხის ცეკვების წინასწარ მომზადებული რამდენიმე ფრაგმენტი;
- ქორეოგრაფიული ეტიუდი (იმპროვიზაცია) - კომისიის მიერ შემოთავაზებულ მუსიკალურ ნაწარმოებზე, მსმენელმა უნდა შეასრულოს იმპროვიზაცია, სადაც შემონმდება სადადგომო უნარები: მუსიკალური და ქორეოგრაფიული მასალის (დრამატურგიის) თანხვედრა.
- მსმენელის ვიზუალი უნდა შეესაბამებოდეს ქორეოგრაფიულ სტანდარტებს;
- საკუთარი ცეკვის შესასრულებლად უნდა იქონიოს საჭირო რეკვიზიტები;
- მსმენელმა უნდა წარმოადგინოს საცეკვაო ფრაგმენტები (არანაკლებ ოთხისა — შესაძლებელია სხვადასხვა ჟანრის ქორეოგრაფიული ფრაგმენტის შესრულება) ცეკვის მუსიკალური აკომპანიმენტი ჩანერილი უნდა ჰქონდეს 2 CD დისკზე ან მესხიერების ბარათზე/რეგისტრაციის დროს წინასწარ მიუთითოს აკომპანიმენტის საჭიროება და შესასრულებელი ცეკვის დასახელება;

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების რეპეტიტორის შემოქმედებითი ტური

მსმენელის შესარჩევი კონკურსი (შემოქმედებითი ტური) ტარდება ორ ეტაპად:

I შესარჩევი ტური და გამოცდა.

I ტური - პირველ შესარჩევ ტურზე მონაწილე მსმენელის მუსიკალური მონაცემები: სმენა, ხმა, ინტონირება; აქვს თუ არა გამართული სასიმღერო აპარატი. აბიტურიენტმა უნდა შეძლოს, გაიმეოროს შეთავაზებული მელოდია, გამოიცნოს ინტერვალები, გამოამჟღავნოს მუსიკის ელემენტარული თეორიის ცოდნა. მას უნდა ჰქონდეს ლოტბარ-რეგენტის პროფესიის დასაუფლებლად აუცილებელი უნარები.

**გამოცდა** - გამოცდაზე გასული მსმენელისათვის მოთხოვნები რთულდება. აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს ჩამონათვალში მითითებული, კომისიის მიერ შერჩეული სიმღერა და საგალობელი ხმათა მონაცვლეობით. შემონმდება აბიტურიენტის ზოგადი ცოდნა და ინტერესები, როგორც ხალხური სიმღერის, ასევე საეკლესიო გალობის რაობის შესახებ; სასურველია, აბიტურიენტი ფლობდეს რომელიმე ინსტრუმენტს (ფორტეპიანო, ქართული ხალხური საკრავები).

1. ქრისტე აღსდგა (სვანური)
2. ასე ჩონგური (მეგრული)
3. გოგოვ შავთვალა (ქართლური)
4. ვარდასა ჰკითხეს (გურული)
5. ლაყვავაში (სვანური)
6. ბალია ჩვენი ქვეყანა (გურული)
7. მოვედით თაყუანის-ვსცეთ (გელათის სკოლა)
8. მეგრული ალილო
9. კახური ნანა
10. ოკრიბული/იმერული მგზავრული.

II ტური. გასაუბრება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე (ზეპირი ფორმით) მოხდება სასკოლო პროგრამაში არსებულ მასალაზე დაყრდნობით. შემონმდება მსმენელის ზოგადი ცოდნა ქართული და მსოფლიო ხალხური სიმღერისა და საკრავების, ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა დარგების მიმართულებით.

შემოქმედებითი ტურები ტარდება სხვა მსმენელების თანდასწრებით.

წარსადგენი დოკუმენტების სია:

- პირადობის მოწმობის ასლი;
- 2 ცალი ფოტოსურათი, ზომით 3X4;
- განათლების ცენტრის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- ცნობა სამუშაო ადგილიდან (რომელ ანსამბლში მუშაობს ან ცეკვავს);
- ცნობა სამხედრო ვალდებულების შესახებ (ვაფუბისთვის);
- ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა №100);
- განცხადება (სპეციალური ფორმა ივსება ადგილზე ან ონლაინ ვებ-გვერდზე).
- სწავლის დასრულების შემდეგ მიიღებთ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერთიფიკატს.

იურიდიული პირი:

- სახელწოდება ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტი
- საიდენტიფიკაციო კოდი 406260255
- ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, ცოტნე დადიანის 26
- ელ-ფოსტა info.instituteofculture@gmail.com
- ვებ-გვერდი: https://qor.org.ge.
- Facebook: კულტურის ინსტიტუტი
- ტელეფონი: 2354841; 2354821.
- მობ: 593148326; 599556928; 592002300; 579003411; 59554541. www.artfolk.ge www.qor.org.ge

არაფორმალური განათლების აღიარებაზე (დაუსწრებელი)



1. ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორი;
  2. ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების რეპეტიტორი;
  3. სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ქორეოგრაფ-მწვრთნელი;
  4. ლონისძიების ორგანიზატორი;
  5. ბიბლიოთეკარი;
  6. ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი.
- დაშვების წინაპირობა: განათლება - საშუალო;
  - დაწყების თარიღი: ნელინაღში 4-ჯერ

- დასრულების თარიღი: ნელინაღში 4-ჯერ
- ისწავლეთ სახელმწიფოს სრული დაფინანსებით ან თვითდაფინანსებით - 1600 ლარი;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე 3-4-5
- დასაქმების სფერო: მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
- აპლიკანტთა რეგისტრაცია: რეგისტრაციისთვის მიმართეთ ბმულს: www.vet.emis.ge.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2023 წლის 21 აპრილის №438637 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №459 დადგენილებით დამტკიცებული „არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ზ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დეპარტამენტი“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე 2023 წლის 24 აპრილის №448613 ბრძანებით:

ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტს მიენიჭა არაფორმალური განათლების აღიარების უფლება. 2022 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით (№21740) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებული საბჭოს მიერ, ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტს მიენიჭა ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორის, ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების რეპეტიტორის, სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ქორეოგრაფ-მწვრთნელის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება, რის საფუძველზეც ინსტიტუტმა მოიპოვა არაფორმალური განათლების აღიარების უფლება.

შესაბამისად კულტურის ინსტიტუტი უფლებამოსილია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორის, ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების რეპეტიტორის, სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ქორეოგრაფ-მწვრთნელის პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლების შედეგების (პროფესიის) არაფორმალური განათლების აღიარებისათვის.

ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფ-რეპეტიტორის, ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების რეპეტიტორის, სამეჯლისო-სპორტული ცეკვების ქორეოგრაფ-მწვრთნელის პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამით დაინტერესებული პირები პროგრამის დეტალების გასაცნობად ეწვიეთ კულტურის ინსტიტუტის ვებ-გვერდს:

- www.artfolk.ge,
  - www.qor.org.ge
- ხოლო არაფორმალური განათლებისა და პროფესიის აღიარების მიზნით აპლიკაციის შესავსებად - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამის ვებ-გვერდს: https://vet.emis.ge/#/assessment

მხარდაჭერი ორგანიზაციები:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მუდმივმოქმედი კომისიის წევრები:

- უჩა დვალიშვილი - პროფესორი
- რეზო ჭანიშვილი - პროფესორი
- ალექსანდრე ქართველიშვილი - საქართველოს ქორეოგრაფთა აკადემიის პრეზიდენტი
- მანანა მახარაშვილი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტი

წარსადგენი დოკუმენტების სია:

I ეტაპი:

1. განცხადება;
2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. არსებობის შემთხვევაში, არაფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი;
4. შრომითი ხელშეკრულებ(ებ)ის ასლი, სამუშაოს აღწერილობა, ცნობა სამუშაო ადგილიდან, სერტიფიკატი და ა.შ.

II ეტაპი:

1. რეზიუმე / CV;
2. მაძიებლის პორტფოლიო;
3. სამუშაო გამოცდილების შესახებ ანგარიშები;
4. ტრენინგზე დასწრების შესახებ სასწავლო ჩანაწერი და სერტიფიკატი;
5. სამუშაო ჩანაწერები და ჩანაწერი;
6. რეკომენდატორის მიერ გაცემული ცნობა ან/და ფოტომასალა;
7. ვიდეო ჩანაწერები, პრეზენტაცია(ებ)ი;
8. სხვა სახის მტკიცებულებები.

III ეტაპი:

- (არაკომერციული) იურიდიული პირი „კულტურის ინსტიტუტი“ არაფორმალური განათლების აღიარების მაძიებლისთვის გასანევი მომსახურების საფასურის შესახებ ინფორმირების მექანიზმებს არეგულირებს შესაბამისი წესით.
- არაფორმალური განათლების აღიარების მაძიებლის განცხადების განხილვის საფასური შეადგენს 100 ლარს, გასანევი მომსახურების საფასურის ღირებულება შეადგენს - 1500 ლარს.
- მაძიებელი არაფორმალური განათლების აღიარების მოპოვების განცხადების განხილვის საფასურს იხდის დაწესებულების საბანკო ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების გზით.
- დაწესებულების საბანკო რეკვიზიტებია - სს თბილისი ბანკი ა/ა GE68TB7850336080100005

იურიდიული პირი:

- სახელწოდება ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტი
- საიდენტიფიკაციო კოდი 406260255
- ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, ცოტნე დადიანის 26
- ელ-ფოსტა info.instituteofculture@gmail.com
- ვებ-გვერდი: https://qor.org.ge.
- Facebook: კულტურის ინსტიტუტი
- ტელეფონი: 2354841; 2354821.
- მობი: 593148326; 599556928; 592002300; 579003411; 59554541. www.artfolk.ge www.qor.org.ge